# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ოთხშაბათი, 15 ივნისი. 2016 წ. №109 (8001), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## ნაცების ამაო ქოთქოთს ისევ სიცრუე ასაზრდოებს!



- წულუკიანი მერაბიშვილის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს
- „მერაბიშვილის ოცნებების ნაწილი შესაძლოა, ახდა“
- **იან კელი: მთავარია ობიექტურობა**

აშშ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იან კელი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება. იან კელი ამბობს, რომ გადაწყვეტილება ობიექტური და სამართლიანი უნდა იყოს. იან კელი ამბობს, რომ ისინი თვალს ადევნებენ მსგავსი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების საქმეებს და მან ხაზი გაუსვა პროცესის ობიექტურობის დაცვის მნიშვნელობაზე.




თემის გაგრძელება იხ. 7 გვ.





2


## დაჟინებით დავუჭერ მხარს „ქართულ ოცნებას“ და ამასვე მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას!

### იან კელის განცხადება:

## გვარამიასა და „რუსთავი-2“-ის ქცევა სასამართლოზე ზეწოლაა

## სიბრიყვის აღზევება

ისევ თემურ ქორიძეზე და გაკვრით სხვაზედაც




4


MAGTICOM

## მაგთიკომის ძალუმი წინსვლა


3


ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ!

### ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა!

## „კონსტიტუციაში ტერმინი „დედაა“ ნახსენები და განა შეიძლება, დედა მამას ნიშნავდეს?!“


3





5


## კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი უმძიმესი სენის დაძლევის გზაზე

## ილია II-ის წერილი მსოფლიო პატრიარქსა და ყველა ადგილობრივი ეკლესიის წინამძღოლს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მსოფლიო პატრიარქსა და ყველა ადგილობრივი ეკლესიის წინამძღოლებს წერილს უგზავნის.** წერილი საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. ილია მეორე წერილის ადრესატებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის გადაწყვეტილებას ატყობინებს, რომლის თანახმადაც, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია კუნძულ კრეტაზე დაგეგმილ წმინდა და დიდ კრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

**„მის ყოვლადუწმინდესობას, ბართლომეოს I, კონსტანტინოპოლის – ახალი რომის მთავარეპისკოპოსს და მსოფლიო პატრიარქს!**

**თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო, გულითადად მოგესალმებით და შევთხოვთ უფალს, რათა მოგანიჭოთ მშვიდობა, ჯანმრთელობა და მრავალჟამიერ სიცოცხლე; ამასთან დიდი პატივისცემით გვსურს, თქვენ და ყველა მართლმადიდებელ ეკლესიათა უწმინდეს და უნეტარეს წინამძღოლებს გაცნობოთ, რომ 2016 წლის 10 ივნისს გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის სხდომა, რომელმაც განიხილა წმინდა და დიდი კრების ირგვლივ დღეს არსებული ვითარება და გადაწყვიტა, რომ საქართველოს ეკლესიის დელეგაცია კუნძულ კრეტაზე დაგეგმილ წმინდა და დიდ კრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. გაცნობებთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, რომ ჩვენი ეს დადგენილება პირველ რიგში, მომდინარეობს იმ სურვილიდან, რომ ნაწილობრივ მაინც ავიცილოთ ეკლესიაში სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში პრობლემების გაღრმავება.**

**გამოვითხოვთ თქვენს წმინდა ლოცვებს“,** – ნათქვამია ილია მეორის წერილში.

ჯონ მიარშაიმერი

## თუ საქართველო ხარ და ესაზღვრები ისეთ ძლიერ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, მის ინტერესებს ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციო


8




# დაჟინებით დავუჭერ მხარს „ქართულ ოცნებას“ და ამასვე მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას!

**გუშინ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას მხოლოდ ტელეკომპანია GDS იღებდა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი რეგიონული, ბეჭდური და ონლაინგამოცემების წარმომადგენლების კითხვებს პასუხობდა. პრესკონფერნეციას 60-ზე მეტი ჟურნალისტი დაესწრო და ის დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა.**

**გთავაზობთ მთავარ თემებს პრესკონფერენციიდან.**

## „ქართული ოცნება“ უალტერნატივოა

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მოსახლეობას „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ „ქართულ ოცნებას“ არანაირი ალტერნატივა არა აქვს. „გუნდში არის უამრავი წარმატებული პიროვნება, ვინც იზიარებს იმ კურსს, რაც დავიწყე. დაჟინებით დავუჭერ მხარს „ქართულ ოცნებას“ და იმასვე მოვუწოდებ მოსახლეობას, „ქართულ ოცნებას“ არანაირი ალტერნატივა არა აქვს, მინდა, რომ მოსახლეობამ ეს კარგად გააცნობიეროს“, – მე პარტიის საქმიანობაში ჩართული არ ვარ და პროცესები ჩემს გარეშე მიმდინარეობს.

## პოლიტიკაში დაბრუნებას გამორიცხავს!

საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლას გამორიცხავს და აცხადებს, რომ ის რჩება ბიზნესში. ჟურნალისტის კითხვას, იმ პირობებში, როდესაც თავად არ მონაწილეობს არჩევნებში, რატომ იღებს დარტყმას საკუთარ თავზე, ივანიშვილი პასუხობს, რომ მას აქვს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სურს, რომ ქვეყანა იყოს სტაბილური. „ოდესღაც ვთქვი, რომ საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკაში დავბრუნდებოდი, თუმცა ახლა ვფიქრობ, ეს დღე აღარ დადგება. მომავალში საერთოდ სიტყვა ალბათსაც გამოვრიცხავ, რადგან არარეალურია, რომ რაიმე განსაკუთრებული მოხდეს ჩვენს ქვეყანაში და ჩემი დაბრუნება გახდეს საჭირო“.

## მურუსიძე და არც სხვა ვინმე ადეიშვილის სასამართლოში კრიტიკას ვერ უძლებს

ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, მურუსიძე და არც სხვა ვინმე ადეიშვილის სასამართლოში კრიტიკას ვერ უძლებს. მისი თქმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე მას ანგელოზად არ დაუსახელებია.

„არც მურუსიძე და არც სხვა, ადეიშვილის სასამართლოში კრიტიკას ვერ გაუძლებს, რადგან ისინი იყვნენ იმ რეჟიმის მსხვერპლი. ვინც შეეწინააღმდეგა, ვნახეთ, რაც უქნეს. მურუსიძე ანგელოზად არ დამისახელებია. ის რიგითი მოსამართლე იყო და მდივნად ჩემს დროს აირჩიეს, თუმცა ხმა არავის ამოუღია. გირგვლიანი პირდაპირი მნიშვნელობით მოკლეს. დღეს ისეთ კონტექსტში ატრიალებენ, რომ მურუსიძეს პირდაპირ მიუძღვის წვლილი. ეს თემა ანგაჟირებულია თორემ სინამდვილეში, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მურუსიძემ „ნაცმოძრაობას“ თავი დააღწია“...

## სწორი პოლიტიკის შემთხვევაში, ნაცებს არჩევნებში ბარიერის გადალახვა გაუჭირდება

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, სწორი პოლიტიკის შემთხვევაში, „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში ბარიერის გადალახვა გაუჭირდება. მისი შეფასებით, ენმ-ს ზრდის რესურსი არა აქვს.

## გარანტიას გვაძლევენ, რომ ყველაზე გვიან, წლის ბოლოს გადაწყდება ვიზალიბერალიზაციის საკითხი

„ვერავითარ სუბიექტურს ვერ ვხედავ გარდა იმისა, რომ ევროპაში არის ის პრობლემები, რასაც ასახელებენ. ყველა ევროპელი პოლიტიკოსი გამოკვეთილად ამბობს, რომ საქართველომ თავისი ვალდებულებები პირნათლად შეასრულა. იმედი ვიქონიოთ, რომ სექტემბრამდე გადაწყდეს ეს საკითხი, თუ არადა გარანტიას გვაძლევენ, რომ ყველაზე გვიან შეიძლება წლის ბოლოს გადაწყდეს. საქართველო ამას იმსახურებს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

## მიშა მაჭავარიანი ყველაზე მაგარი გამყალბებელია

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, სასამართლო სისტემას განვითარება სჭირდება. მან ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მიხეილ მაჭავარიანიც გააკრიტიკა და „გამყალბებელი“ უწოდა:



„ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ქალაქის მერი ციხეშია, ყოფილი პრეზიდენტი დევნაშია და ამ დროს პირველი კითხვა ვიზალიბერალიზაციაზე დაისვა. ეჭვი არ არსებობს, რომ ჩვენ ამას მივაღწევთ. თითქმის ყველა შეეგუა და გაიგო, რა ხდება ამ მიმართულებით, თუმცა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით განცდა მაინც არსებობს.

უზნეო ხალხი დღეს ზნეობაზე ლაპარაკობს, დღეს მიშა მაჭავარიანი გამოდის და ზნეობაზე საუბრობს. ყველამ იცის, რომ ის ყველაზე მაგარი გამყალბებელია და ეს ზნეობაზე მელაპარაკება, ამაზე საზოგადოება ღიზიანდება, მაგრამ რა ვქნათ?

მომავალში უკეთესი სასამართლო გვინდა და ამ მიმართულებით უნდა განვვითარდეთ“...

## ოფშორულ ზონებში მაქვს და მქონდა კომპანიები... ის ძალიან მოქნილია და ბევრ რამეში მეხმარება

ჩემთვის „პანამა ფეიფერსი“ ბოლო ჭეშმარიტება არ არის – თქვა ბიძინა ივანიშვილმა. მას ოფშორულ ზონებთან შეხება ადრეც ჰქონია. „ზოგადად ოფშორულ ზონებს რაც შეეხება მაქვს და მქონდა კომპანიები, მაგრამ ვერავის ნახავთ – ვერც ერთ ბიზნესმენს, ვისაც ოფშორულ ზონაში არ ჰქონდეს კომპანია. ის ძალიან მოქნილია და ბევ რამეში გეხმარება. კითხვები არის იმ პოლიტიკოსების მიმართ, ვინც საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობისას იშოვა ფული, მანამდე რომ არაფერი გააჩნდათ, ისინი არიან სახიფათონი და არა მე, – განაცხადა ივანიშვილმა.

## ღია კარებს ვამტვრევთ!

ბიძინა ივანიშვილი ქორწინების საკითხის კონსტიტუციაში განსაზღვასთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვას მხარს უჭერს და იქვე ამბობს, რომ ის ანტიდისკრიმინაციული კანონის მხარდამჭრიცაა. კითხვაზე, დაუჭერს თუ არა მხარს, რომ არჩევნების პარალელურად ქორწინების საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი გაიმართოს, ივანიშვილი პასუხობს:

„მოკლედ კი, მაგრამ ღია კარებს ვამტვრევთ. მე მგონი, ცოტა ზედმეტი აჟიოტაჟი ავტეხეთ. მე ტრადიციულ ოჯახებს ვუჭერ მხარს, მაგრამ ანტიდისკრიმინაციულ კანონს მხარს ვუჭერ და ესეც გავითვალისწინოთ...

## 2008 წლის ომის თემა ტაბუდადებულია...

ივანიშვილი ამბობს, რომ 2008 წლის ომის თემა ტაბუდადებულია. როგორც რუსეთთან ურთიერთობის საკითხზე საუბრისას ივანიშვილმა განაცხადა, რუსეთთან მიმართებაში ქართული მხარე ისე უნდა მოიქცეს, რომ ქვეყანა გაერთიანდეს.

„დღეს ტაბუდადებულია თემა 2008 წლის ომთან დაკავშირებით. ყველაზე დიდი შეცდომა „ნაციონალური მოძრაობისა“, სწორედ ეს იყო. სააკაშვილს ამერიკელები კატეგორიულად სთხოვდნენ, რომ იარაღი არ გამოეყენებინა და ამ მხრივ ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვეს. რას გადაწყვეტს პუტინი და როგორ მოიქცევა, ჩვენ არ ვიცით.

ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ქვეყანაც გავაერთიანოთ და ჩვენი ძმებიც დავიბრუნოთ. მოლაპარაკებას ალტერნატივა არა აქვს ... სულ იარაღის ჟღარუნი ისმოდა, რასაც ჩვენ არ გავაკეთებთ. ჩვენ სხვა სტრატეგია ავირჩიეთ. დღეს რუსეთი, საუბედუროდ, პროვოკაციებს განაგრძობს და უნიათოები ამაზე მიანიშნებენ. სწორი მიმართულება კი მოლაპარაკებებია“ – განაცხადა ივანიშვილმა.

## ქართულ პრესას ძალიან უჭირს!

პრესკონფერენციაზე სინანულით ითქვა 2007 წლის 10 აგვისტოს გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან სააკაშვილის ზონდერბრიგადების მიერ გამოყრილი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების გასაჭირზე... ქართული პრესა ნელ-ნელა კვდება, „თბილისი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „შანსი“, „ქალთა გაზეთი“ და სხვა პოპულარული გამოცემები უსახსრობის გამო დაიხურა. თითქმის 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ და პოპულარული „ასავალ-დასავალი“ ნაქირავებ ბინებში „ცხოვრობენ“, საქართველოს ფოსტამ გაზეთების გავრცელებაზე უარი განაცხადა, რაიონებში პრესა შეფერხებით ჩადის... ყოველივე ამის ფონზე პრესის გადარჩენა-განვითარების ფონდის შექმნას ხომ არ აპირებთ, ბატონო ბიძინა? – დაისვა შეკითხვა პრესკონფერენციაზე.

– ეს მართლაც მტკივნეული პრობლემაა. ჩემი ინიციატივით რეკლამის შესახებ კანონში ცვლილებები შევიტანეთ, მაგრამ ამან პრესას დიდი ვერაფერი შეღავათი მისცა. მე ქართულ თავისუფალ პრესას დიდ პატივს ვცემ, პრესა უნდა განვითარდეს. აუცილებლად ვიფიქრებ თქვენს საერთო გასაჭირზე, – უთხრა ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილმა.

## ექსპრეზიდენტი დევნაშია, კეზერაშვილი დევნაშია, მერაბიშვილი კი – ციხეში“

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს და ამ მიმართულებით პროკურატურაში ბევრ საქმეზე მუშაობა მიმდინარეობს. „ის რაც მოხდა საქართველოში, ამ მიმართულებით, საოცრებაა, მაგრამ ხალხს ისევ ის განცდა აქვს, რომ სამართლიანობის აღდგენა არ მოხდა. არადა, პრეზიდენტი დევნაშია, კეზერაშვილი დევნაშია, მერაბიშვილი კი – ციხეში. ჩემი პრემიერობის დროს, დროის 90%-ს ვხარჯავდი იმაში, რომ პარტნიორებისთვის ამეხსნა, რა ხდებოდა საქართველოში. „ნაციონალები“ საზოგადოებაზე მენტალურად ისევ ძალადობენ და მოსახლეობის უკმაყოფილებაც ამიტომ გამოიხატება. უზნეო ხალხი მორალზე გველაპარაკება და ამიტომ არის აღშფოთებული ქართველი საზოგადოება.

## კოალიციური მთავრობა ახალ პირობებში ძალიან ბევრ პრობლემას შექმნის

**ექს-პრემიერი მიიჩნევს, რომ კოალიციური მთავრობა საქართველოსთვის პრობლემა იქნება. თუმცა, მისი თქმით, ეს დემოკრატიისთვის კარგია და ამას ევროპელები და ამერიკელები მიესალმებიან.**

„ჩვენ გვქონდა კოალიციური მთავრობა და ჩემი პიროვნება აბალანსებდა სიტუაციას, მაგრამ ახალ პირობებში და ახალ არჩევნებზე თუ 80 ხმაზე ნაკლებს მიიღებს „ქართული ოცნება“, ეკონომიკური რეფორმების გატარება გაძნელდება. თუ ისევ შედგა კოალიციური მთავრობა, ძალიან ბევრ ახალ პრობლემას მივიღებთ. ასეთი მთავრობები ძირითადად რესურსების განაწილებაში არიან სათავისოდ და სერიოზული საქვეყნო რეფორმები რჩება უყურადღებოდ, თუმცა, მე კოალიციური მთავრობის წინააღმდეგი არ ვარ. მაგრამ, ასეთი ეკონომიკის და მცირე დაფინანსების პირობებში როგორშიც ჩვენ ვართ, ძალიან რთული იქნება და შეუშლის ხელს საქართველოს სწორი მიმართულებით განვითარებას“, – განახცადა ივანიშვილმა და დასძინა:

„ნაციონალები“ 5 კაცით საოცრებას ველარ მოახდენენ, „მაგრამ კოალიციური მთავრობა ასეთი ეკონომიკურ პირობებში იქნება ძალიან რთული, რადგან პრემიერს დასჭირდება ძლიერი გუნდი.

## სიცრუის ეტალონი ხართ და სიცრუის გამავრცელებელი, ელისო!

ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და „ქრონიკა პლიუსის“ რედაქტორ ელისო კილაძეს შორის მცირე შეკამათება მოხდა, ივანიშვილმა ჟურნალისტს „სიცრუის ეტალონი“ და „სიცრუის გამავრცელებელი“ უწოდა. ამასთან ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ფარული კადრების გავრცელება ელისო კილაძის მონაწილეობით მოხდა. „ეჭვი მაქვს, რომ თქვენი მონაწილეობით გაკეთდა ეს ყველაფერი. როგორც ვიცი, თქვენთან გავრცელდა ეს კადრები. ელისო კილაძისთვის სიცრუე არის ეტალონი. სიცრუის ეტალონი ხართ და სიცრუის გამავრცელებელი“, – მიმართა ივანიშვილმა კილაძეს.

# მაგთიკომის ძალუმი წინსვლა

**ქართული საკომუნიკაციო სფეროს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია, მობილური კავშირგაბმულობის უდავო ლიდერი მაგთიკომი ძალუმად ვითარდება, რასაც ბაზარზე მისი ბოლოდროინდელი აქტიური მოღვაწეობა თვალნათლივ მოწმობს.**

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამის ყველაზე წონადი დასტურია მაგთიკომის მიერ კომპანია კავკასუს ონლაინის საოპერაციო აქტივების შეძენა, რის თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულება ორიოდე კვირის წინათ, 30 მაისს გაფორმდა.

ამ მეტად მნიშვნელოვან შენაძენს რამდენიმე დღეში, კერძოდ კი 3 ივნისს, მაგთიკომმა 4,5G (LTE – Advanced) ქსელის გაშვება მოაყოლა. ამ ნაბიჯით კომპანიამ, პირველად საქართველოში, მომხმარებელს მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგია ლიცენზირებულად შესთავაზა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაგთიკომი საქართველოში ერთადერთი ოპერატორი კომპანიაა, რომელიც მომხმარებელს სრულ საკომუნიკაციო მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის, კერძოდ:

- **ორი ტიპის ინტერნეტს – მობილურსა და საკაბელოს;**
- **ორი ტიპის ტელევიზიას – თანამგზავრულსა და** IPTV-ს;
- **ორი ტიპის ფიქსირებულ ტელეფონს – რადიოსა და საკაბელოს;**
- **მობილურ ტელეფონს, რომელიც მობილური სატელეკომუნიკაციო სივრცის განვითარების ყველა საფეხურს** – 2G, 3G და 4G ქსელებს – მოიცავს, რასაც ახლა უკვე უახლესი ტექნოლოგია – 4,5G ქსელიც დაემატა.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სადღეისოდ მაგთიკომი ქართულ ბაზარზე ერთადერთი ოპერატორია, რომელიც მომხმარებელს 4,5G (LTE – Advanced) ქსელს ორი სიხშირული სპექტრის (800 MHz და 1800 MHz) კომბინაციით სთავაზობს. აღსანიშნავია ისიც, რომ 4,5G ქსელის მთავარი უპირატესობაა სიგნალის მკვეთრად გაზრდილი შეღწევადობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 4,5G ქსელში ერთი სადგური გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორიის დაფარვას უზრუნველყოფს და, შესაბამისად, მეტი მომხმარებლის მომსახურების შესაძლებლობას იძლევა ინტერნეტის გაზრდილი სიჩქარის წყალობით.

წლების განმავლობაში მაგთიკომს ინტერნეტით მომსახურების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, რასაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემები ადასტურებს. ეს კი, თავის მხრივ, იმას მოწმობს, რომ მობილური ინტერნეტის აქტიური მომხმარებლები უმეტესად მაგთიკომის ქსელით სარგებლობენ. LTE – Advanced ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად კი მაგთიკომის მომხმარებელი კიდევ უფრო სწრაფი ინტერნეტით ისარგებლებს.

კომპანია ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე ტრადიციულად ლიდერობს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და საბაზო სადგურების ოდენობის მხრივ, რაც დაფარვის არეალის სიდიდეს, სტაბილურად მაღალ ხარისხსა და ქსელის საიმედოობას განაპირობებს.

მაგთიკომის მიერ 4G და 4,5G ქსელების მხოლოდ ლიცენზირებისთვის გაწეულმა ინვესტიციამ 180 მილიონ ლარს გადააჭარბა, რა თანხაც მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტში მიიმართა. ამას ემატება მრავალმილიონიანი კაპიტალდაბანდება, რომელიც უშუალოდ ქსელის ტექნიკურ გამართვას სჭირდება. მიუხედავად გაწეული ხარჯისა, კომპანიამ ინტერნეტპაკეტების ტარიფები უცვლელი დატოვა.

ხაზგასმით აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მომხმარებლისთვის სრული საკომუნიკაციო სერვისის შესათავაზებლად, მაგთიკომმა ინტეგრაციის პროცესისთვის მზადება დაიწყო. კავკასუს ონლაინის კორპორაციული და საცალო მომსახურებისთვის საჭირო საოპერაციო აქტივების კომპანიისთვის გადაცემის პროცესი, სავარაუდოდ, წლეულს 1 აგვისტოს დაიწყება, რამდენიმე თვე გაგრძელდება და წლის მიწურულისთვის დასრულდება. ინტეგრაციის პროცესში ყველა სახეობის მომსახურება მომხმარებელს შეუფერხებლად, უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება. ამ პროცესის დასრულების შემდეგ კი აბონენტები თავიანთ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე მორგებულ, მრავალფეროვან და ინოვაციურ პროდუქტებს მიიღებენ.

**ოთარ ტურაბელიძე**




**ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა!**

## „კონსტიტუციაში ტერმინი „დედაა“ ნახსენები და განა შეიძლება, დედა მამას ნიშნავდეს?!“

**საინიციატივო ჯგუფი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ქორწინების განსაზღვრის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს და დღეიდან ორასი ათასი ხელმოწერის შეგროვებას იწყებს, რათა დაინიშნოს რეფერენდუმი საკითხზე – „გსურთ თუ არა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ოჯახი განისაზღვროს როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა?!“**

პარალელურად, გააქტიურებულია **ლევან ვასაძეც**. ბიზნესმენი აცხადებს, რომ ჩვენ გვჭირდება ჩვენს ეთნოფსიქიკაზე, ჩვენს გეოკულტურულ როლზე მორგებული ეროვნული კონსტიტუცია, რომელშიც ქვაკუთხედი ოჯახური ღირებულებები იქნება.

**„ახლა ატყდება ამბავი – ეს რა თქვა! იცით, ვინ დაგიწერათ კონსტიტუცია?! ჰკითხოს ყველა მაყურებელმა თავისთავს, რომ ფიცულობთ რაღაცას. სახარება ვინ დაწერა, ვიცი, მაგრამ ვინ დაგიწერათ კონსტიტუცია, რა გიწერიათ შიგნით, რეები ჩაგიყარეს ხან მიშამ, ხან გრიშამ – რა არის ეს, რა საფიცარია. ჩვენ გვჭირდება არა ასლი, რაღაც გადმოკატავებული ფსევდო ლიბერალურ-დემოკრატიული სისულელის, არამედ გვჭირდება ჩვენს ეთნოფსიქიკაზე, ჩვენს გეოკულტურულ როლზე მორგებული ეროვნული კონსტიტუცია, რომელშიც ქვაკუთხედი ოჯახური ღირებულებები იქნება და, რომელსაც დაემორჩილება, და კაი ბიჭია და არ დაემორჩილოს, ყველაფერი“,** – განაცხადა ლევან ვასაძემ.

რას ნიშნავს წინასაარჩევნოდ ოჯახის თემის გააქტიურება და რამდენად განიცდის ჩვენი კონსტიტუცია ნაკლოვანებას ოჯახის, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის ცნების განსაზღვრებისას? ასევე, რამდენად საჭიროებს საქართველოს კონსტიტუცია დახვეწას ეროვნული კუთხით?

პოლიტოლოგი და კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ პირადად მას ხშირად გამოუყენებია ტერმინი „ეროვნული კონსტიტუცია“, რადგან ჩვენი კონსტიტუცია უნდა პასუხობდეს იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც დგას საქართველო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორი კონსტიტუციური და საკანონმდებლო მექანიზმებია საჭირო იმისთვის, რომ ამ ჭაობს თავი დავაღწიოთ და შევქმნათ თანამედროვე სახის ცივილური დემოკრატიული სახელმწიფო. ვახტანგ ძაბირაძის თქმით, ყველა ქვეყანა საკუთარ კონსტიტუციას წერს უამრავი რამის გათვალისწინებით. ეს არის ერის ეთნოხასიათი, ისტორიული წარსული, აწმყო, მომავალი, რელიგია. ბევრ რამეს ექცევა ყურადღება და ბევრი რამეა ასახული კონსტიტუციაში. თუმცა რა მიზანი აქვს ლევან ვასაძეს, ეს ვახტანგ ძაბირაძისთვის უცნობია.

**„ნამდვილად პრობლემატურია ის, რაზედაც დღეს კამათი მიმდინარეობს. ვთვლი, რომ ოჯახის ცნება კანონმდებლობაში საკმარისად არის ასახული. თუ საზოგადოებაში მაინც ჩნდება კითხვის ნიშანი, მართალია, ამას ცოტა არასერიოზულობის და არააკადემიზმის ელფერი დაკრავს, მაგრამ ჩვენ იმდენად ბევრი პრობლემა გვაქვს, იმდენად ვართ გათითოკაცებულნი, რომ კიდევ ერთი პრობლემის დამატება ნამდვილად არ ღირს. არის ოჯახური ღირებულებების ჩამატების აუცილებლობა კონსტიტუციაში? თუნდაც უმცირესობიდან ვიღაც თვლის ასე? კი ბატონო, არ ვართ ყველა სხვა პარამეტრით მოწინავე და სამაგალითო ერი და ახლაც ამ კონსტიტუციაშიც ავიტანთ დამატებითი განმარტების გაკეთებას. მე გამოვდივარ არა იქიდან, რომ კონსტიტუციით დღეს ნაკლებად დაცულია ოჯახის განმარტება, არამედ იქიდან, რომ კიდევ ახალი წყალგამყოფი არ უნდა გახდეს ეს თემა ორ პიროვნებას შორის. ამიტომ, თუ არის კონსტიტუციაში ოჯახური ღირებულებების დამატებით განმარტება საჭირო, შევიტანოთ, რა პრობლემაა. სჯობს, დათმოს იმან, ვინც კბილებით იცავს უკვე არსებულ კონსტიტუციას, ვიდრე კიდევ ერთმა განხეთქილების ვაშლმა იგოროს ისედაც დაშლილ-დაყოფილ საზოგადოებაში“,** – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

მისივე თქმით, თავის დროზე ჩვენ გვჭირდებოდა ქართული კონსტიტუცია, თორემ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერთა და კონსტიტუციონალისტთა მიერ დაკომპლექტებული ვენეციის კომისია თავად დაგვიწერდა კონსტიტუციას; ასევე, ფულის გადახდის საფასურად კონსტიტუციას დაუწერდნენ ნებისმიერ ქვეყანას, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი სპეციფიკა, ამ სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება კონსტიტუციების დაწერა. სწორედ ეს არის ეროვნული კონსტიტუცია, როცა ერი ითვალისწინებს საკუთარი ქვეყნის ისტორიასა და ხასიათს, კულტურასა და რელიგიას.

იურისტი **ლევან ალაფიშვილი** აცხადებს, რომ ჩვენს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილია და ლევან ვასაძის მოსაზრებაც ეროვნული კონსტიტუციის შექმნის თაობაზე დემოკრატიული პროცესის ნაწილია, თუმცა სამწუხაროა, რომ ოჯახის სიწმინდის თემა პოლიტიკური ქულების დაგროვების საშუალებად იქცა იმ ამომრჩეველზე, რომელიც უფრო მემარჯვენე ნაციონალისტურ სენტიმენტებზეა ფოკუსირებული.

**„როდესაც სამართლებრივ კატეგორიებზეა საუბარი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონსტიტუცია არის ჩარჩო-კანონი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებას და განვითარებას. რა არის ეროვნული საკითხი, ეს დიდწილად არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური, ან უფრო კულტუროლოგიური თემატიკაა. კონკრეტულ საკითხთან ან ცალკეულ ჯგუფთან დაკავშირებით (როგორი მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს ადამიანთა ეს ჯგუფის) კონსტიტუციაში ფოკუსირებულად რაიმე ასახული ვერ იქნება. ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების კონსტიტუციებიც სწორედაც რომ ეროვნული კონსტიტუციებია. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ხომ არ არის ნაკლული ჩვენი კონსტიტუცია ოჯახის სიწმინდის ცნების განსაზღვრებისას, კონსტიტუციაში ყველა საკითხი ასე სახელდებით დეტალურად მიმოხილული ვერ იქნება. უბრალოდ, ეს საკითხი დღეს პოლიტიკოსების მიერ პოლიტიკური ქულების დაწერის მცდელობად არის გამოყენებული. ოჯახის თემა აქამდე არასდროს გამხდარა ვნებათაღელვის, განსაკუთრებული ზრუნვისა თუ მავანთა მჭმუნვარების საგანი. დღეს პოლიტიკურ სივრცეში მემარჯვენე ნაციონალისტური პოლიტიკური მიმართულების განვითარებისთვის ნიშის საჭიროება გაჩნდა. ეს მხარე თავისუფალია და ამის ათვისებას ცდილობს სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალა“,** – აცხადებს ლევან ალაფიშვილი.

აქვე განმარტავს, რომ კონსტიტუციის მიღების შემდეგ არსებობს ჩანაწერი, ასევე, არსებობს სამოქალაქო კოდექსი, სადაც სწორედ ქალისა და მამაკაცის კავშირზე დაფუძნებულ ურთიერთობაზეა საუბარი. ასე რომ, კონსტიტუციაში მხოლოდ ერთი მუხლის ერთი პუნქტი არ უნდა წავიკითხოთ, რადგან იმ 36-ე მუხლს აქვს სამი პუნქტი და ერთობლიობაში წაკითხვით ძალიან კარგად დასტურდება, რომ საუბარი სწორედ ქალისა და მამაკაცის კავშირზეა და არა ერთი სქესის წარმომადგენელთა კავშირზე. უფრო მეტიც, როდესაც იმავე კონსტიტუციაში ტერმინი „დედაა“ მოხმობილი, შეიძლება დედა მამას ნიშნავდეს?!

**მანანა ნოზაძე**

თემურ ქორიძის კიდევ ერთი საუბარი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 1-7 ივნისის ნომერში — **„დღეს ქართული სახელმწიფო არ არსებობს, ქვეყანას მართავს ტომის ბელადი“** (იგულისხმება ბიძინა ივანიშვილი), ამჯერად, მისი „პოლიტიკური სიბრძნის“ დამადასტურებელი. აბა, „ზრდილობის“ დამადასტურებელი კარგა ხნის წინათ, 2015 წლის 4-10 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა იმავე გაზეთში სათაურით: **„ივანიშვილის ბიძაშვილს შევუთვალე, — იზოლაციაში მოაქციეთ, ვიდრე დაუძახია, ნაპოლეონი ვარო“** (ორივე წერილის სათაურად ქორიძისვე სიტყვები აქვს გამოტანილი ჟურნალისტ ეკა ნასყიდაშვილს). „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად — ზრდილობა“ სტუდენტების აღმზრდელმა(!) თემურ ქორიძემაც იცის, მაგრამ რა ქნას, როცა ძვალსა და რბილში სხვა აფორიზმი აქვს გამჯდარი: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“. ამიტომაც, და კიდევ იმიტომ, რომ პასუხი არავისგან არ მიიღო, გათამამებულმა ლექტორმა თავისივე „ზრდილობის“ რეკორდი 26 მაისს მოხსნა „ობიექტივის“ ეთერში, რის თაობაზეც „საქართველოს რესპუბლიკამ“ 31 მაისს გამოაქვეყნა შესაბამისი წერილი **(„ერთი ვაჟბატონის სატელევიზიო გამოსვლის ირგვლივ“)**.

# სიბრიყვის ალზევება

## ისევ თემურ ქორიძეზე და გაკვრით სხვაზედაც

ქორიძეს აწი აღარაფერი ეშველება, ნათქვამია: **„ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“**. ამიტომ, ზრდილობას შევეშვები, ნაწილობრივ მაინც, და ბოლო წერილში გამომზეურებული პოლიტიკური მოვლენების მისეულ შეფასებებს მივხედავ, ამათაც ნაწილობრივ, თორემ ყველას ვინ აუვა.

მაშ ასე, ჟურნალისტთან გაჟღერებული ქორიძის „ბრძნული“ დასკვნები:

**„დღეს ქართული სახელმწიფო არ არსებობს, ქვეყანას მართავს ტომის ბელადი“** (იგულისხმება ბიძინა ივანიშვილი).

ეს კაცი იმასაც ვერ ხვდება, რომ ამით იგი ივანიშვილს კი არ აყენებს შეურაცხყოფას (ბელადობა, ტომის იქნება თუ ერის, რჩეულთა ხვედრია!), არამედ ქართველ ხალხს, რადგანაც მას ქართველი ერი(!) ჰყავს ტომთან გაიგივებული. და კიდევ, არანაკლებ მნიშვნელოვანი — ამ კაცს პაატა ბურჭულაძესავით ჰგონია, რომ საქართველოს ივანიშვილი მართავს, მან ისიც არ იცის, თუ ვინ არის დღეს საქართველოს ფაქტობრივი (!) მმართველი. ჰოდა, ამის შემდეგ, 95 წლის წინანდელი (1918-1921 წლების) ამბების ან, თუნდაც, 25 წლის წინანდელის მისეული შეფასება როგორ უნდა ვირწმუნოთ. მაგრამ, მივყვეთ მაინც მის საუბარს ჟურნალისტთან:

ქორიძის აზრით, 26 მაისს არ ეგების დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა იმიტომ, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, **„26 მაისს დამოუკიდებლობის აღნიშვნა წარსულის შეურაცხყოფაა, 26 მაისი უდღეური რესპუბლიკის დღეა“**. ხომ მაგარი მიგნებაა! მხოლოდ ოთხი წელი იარსება რამიშვილის და ჟორდანიას დროინდელმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და, ამიტომაც, დამოუკიდებლობას 9 აპრილს უნდა ვზეიმობდეთ, როგორც ჩვენ (ანუ გამსახურდიას ხელისუფლებამ) დავადგინეთ 1991 წელსო.

ჯერ ერთი, საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ ოფიციალურად არა ოთხი, არამედ მხოლოდ ორი წელი და ცხრა თვე იარსება (1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე), მაგრამ განა წლებს აქვს მნიშვნელობა, განა ეს ისეთი არგუმენტია, მსგავსი მტკიცებისთვის რომ გამოდგეს? რა თქმა უნდა, არა! **იმის მიუხედავად, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე (რომელიც სპეციალურად გამსახურდიას დაბადების დღეს დაამთხვიეს!)** დასმული იყო კითხვა: ხართ თუ არა თანახმა, რომ **აღდგეს** საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა **1918 წლის 26 მაისის(!) აქტის საფუძველზე?“**, და **დამოუკიდებლობაც გამსახურდიას მთავრობამ ამ აქტის საფუძველზე აღადგინა** მაშინდელ სახელმწიფო ატრიბუტიკასთან (დროშა, გერბი და ჰიმნი) ერთად, **დამოუკიდებლობის დღე კი, რატომღაც, 26 მაისიდან 9 აპრილს გადმოიტანა** (იმიტომ ხომ არა, რომ ეს დღე — **26 მაისი საქართველოს მეორე ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეს ემთხვეოდა, რაც არ აწყობდათ გამსახურდიას მომხრეებს და, დიდი ალბათობით, არც თავად გამსახურდიას)**. ბევრს ემახსოვრება, რომ ეს გადაწყვეტილება არ გაიზიარა ქართველმა საზოგადოებამ იმ აბსოლუტურად ობიექტური მიზეზით, რომ წინა წელს მთელი საქართველო 9 აპრილს დაღუპულთა (21 ქალ-ვაჟის) ხსოვნას მიაგებდა პატივს, და უცებ, ერთ წელიწადში ხსოვნის დღის ზეიმის დღედ გადაქცევა არავითარი საღი აზროვნების ჩარჩოებში არ ჯდებოდა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევდა, რომ ეს დღე გამოცხადებულიყო თავისუფლებისთვის ბრძოლის დღედ — დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა ხსოვნის დღედ, და არა დამოუკიდებლობის დღედ! მაგრამ, იმ დროს გამსახურდიას პოპულარობა ძალიან დიდი იყო, და მანაც თავისი გაიტანა.

ახლა, გამსახურდიას დროინდელი დამოუკიდებელი საქართველოს ქორიძისეული შეფასებაც ვნახოთ: **„დიდებული და გაბრწყინებული“ სამი წელი იყოო!** ან სამი წელი საიდან მოაქვს ქორიძეს, ანდა რომელ გაბრწყინებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა **დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ოთხ თვეში(!) სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, რვა თვეში(!) — სამოქალაქო ომი და პრეზიდენტი აიძულეს, საქართველოდან გაქცეულიყო, ხოლო 11 თვეში კი, 1992 წლის მარტში, ხუნტამ შევარდნაძე ჩამოგვიყვანა მოსკოვიდან!**



იმდროინდელი საქართველოს „გაბრწყინებას“ მაშინდელი უზენაესი საბჭოს წევრი თემურ ქორიძე თავისნაირების დამსახურებად მიიჩნევს და ასე ხსნის: **„ჩვენ ფანატიკოსები ვიყავით, ერს ფანატიკოსები სჭირდება“!** ალბათ, შეუძლებელი იქნება ამის მთქმელის იმაში დარწმუნება, რომ ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოს ნამდვილი გაბრწყინებისთვის წინამძღოლებად შორსმჭვრეტელი, წინდახედული და გაწონასწორებული მამულიშვილები სჭირდება, და არა — ფანატიკოსები!

თავისი „ბრძნული“ აზრის დასადასტურებლად ქორიძეს ცნობილი მეცნიერის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მიხაკო წერეთლის სიტყვები მოჰყავს: „1918 წლის საქართველო უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდეც“! როგორც ჩანს, ქორიძეს სრულებით ვერ გაუგია ამ სიტყვების მნიშვნელობა და დაღუპვის მიზეზსაც იგი იმდროინდელი მთავრობის თავმჯდომარეებში (რამიშვილი, ჟორდანია) ხედავს. ქორიძე სულ უბრალო რამეს ვერ ხვდება — **მაშინდელ საქართველოს (სხვა რესპუბლიკების მსგავსად) გაწითლებული ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისგან ვერ გადაარჩენდა ვერავინ(!), ისევე, როგორც ვერც დღევანდელ საქართველოს გადაარჩენს ვინმე („ნატოს“ ჩათვლით!), თუკი რუსეთი, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვლის დანარჩენი საქართველოს ოკუპაციას!**

ქორიძის საუბრიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: **გამსახურდიას ხელისუფლება იმიტომ აღმოჩნდა „უდღეური“, რომ, როგორც თავად ქორიძე აღიარებს, იმჟამინდელ ხელისუფლებაში ძალიან ბევრი ქორიძისნაირი ფანატიკოსი ყოფილა!** ფაქტია, ამ ფანატიკოსებმა, სამოქალაქო დაპირისპირების (რომელიც, ვიმეორებ, ოთხ თვეს გრძელდებოდა!) სისხლიან დაპირისპირებაში გადაზრდის თავიდან ასაცილებლად არაფერი იღონეს — **იმის ნაცვლად, რომ ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად გამსახურდიასთვის გადადგომა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა ერჩიათ (რომელშიც დიდი ალბათობით, ისევ ზვიადი გაიმარჯვებდა!), ისინი, პირიქით, მტკიცედ დგომისკენ მოუწოდებდნენ მას — აგულიანებდნენ, სისუსტე არ აჩვენო, სიმართლე შენს მხარეს არის,** კიტოვანი თუ თბილისის ზღვაზე გამაგრდა, შენ პარლამენტში, ბუნკერად წოდებულ სარდაფში გამაგრდი, **ნურაფრის გეშინია, შენი ერთგული ზუგდიდის ბატალიონი დაგიცავსო! სამწუხაროდ, ეს დამღუპველი, ერის გამხლეჩი სიბრიყვე ზვიად გამსახურდიამაც გაიმეორა!**

**სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე მდგარი ერზე მაფიქრალი ხელისუფლება, თუ მას გადადგომით ომის თავიდან აცილება შეუძლია, უსიტყვოდ უნდა გადადგეს და თავისი პოზიცია მტყუან-მართალის მიხედვით არ უნდა განსაზღვროს!**

**სამწუხაროა, რომ ამაზე არც დღეს ფიქრობენ ქორიძისნაირი ფანატიკოსები!**

**იაკობ ლეჟავა**

2016 წ. 12 ივნისი



## არ ვაპირებ პარლამენტში დარჩენას!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, არჩევნების შემდეგ პარლამენტში დარჩენას არ აპირებს. ამის შესახებ მან გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის მიხედვით არჩევნების შემდეგ, შესაძლოა, პარლამენტის თავმჯდომარედ გიორგი კვირიკაშვილი აირჩიონ.**

**„ატყდა ერთი ამბავი ამ საკითხთან დაკავშირებით. მე არ ვაპირებ პარლამენტში დარჩენას. გამორიცხულია. მე ვაპირებ იმ თანამდებობაზე ყოფნას, სადაც დღეს ვარ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს გასაკეთებელი“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. პრემიერმა განმარტება გააკეთა პირველ ვიცე-პრემიერად დიმიტრი ქუმსიშვილის დანიშვნაზეც.**

**„ეს იმით არის გამოწვეული, რომ მე და კახი კალაძე ვიქნებით ძალიან აქტიურად ჩართული არჩევნებში და ეკონომიკურ გუნდს სჭირდება ძალიან კარგი კოორდინაცია, აქედან გამომდინარე, არის გამოწვეული ეს დანიშვნა, ამიტომ ყველანაირი მითქმა-მოთქმა და სპეკულაციები ამ საკითხთან დაკავშირებით არის უადგილო“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.**

## „რესპუბლიკელებიც“ ვთვლით, რომ ჩვენი პარტია უალტერნატივოა

**პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი „ქართული ოცნების“ უალტერნატივობასთან დაკავშირებით, ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ ყველა პარტია თვლის, რომ უალტერნატივოა. მათ შორის, „რესპუბლიკელებიც“. „რესპუბლიკელებიც“ ვთვლით, რომ „რესპუბლიკური პარტია“ უალტერნატივოა, მაგრამ ჩვენ პოლიტიკურ სივრცეში სხვა უალტერნატივო პარტიები გვჭირდება. ჩვენ მათი ნიშის დაკავებას არ ვაპირებთ, ისევე როგორც ჩვენსას ვერავინ დაიკავებს. აი ასე, ჩვენ ჩვენს სფეროში, ქვეყნის სასიკეთოდ უალტერნატივოებმა საერთო ენა უნდა მოვძებნოთ“, - განაცხადა უსუფაშვილმა.**



## საარჩევნო ღონისძიებებზე ძალადობა თავისუფლების აღკვეთით დაისჯება

**საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემა, სხვაგვარი ძალადობა ან ძალადობის მუქარა სისხლის სამართლის დანაშაული იქნება.**

**აღნიშნული დანაშაული ჯარიმით ან 2-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით დაისჯება, ხოლო თუ იგივე ქმედებამ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება გამოიწვია ან ის ჩადენილია ჯგუფურად, თავისუფლების აღკვეთის სანქცია — სამი და 2-დან 5-წლამდე ვადით განისაზღვრება.**

**ამას „სისხლის სამართლის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტს მთავრობამ წარუდგინა. ცვლილებების ფარგლებში, დაგეგმილია სანქციის გამკაცრება ისეთ დანაშაულებზე როგორიცაა, ცემა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.**

**„ასეთი დანაშაული სახელმწიფოსგან გაკიცხვას იმსახურებს, ვინაიდან პირი, რომელიც აცნობიერებს, რომ საარჩევნო უბანთან, საარჩევნო კომისიის განთავსების ან საარჩევნო აგიტაციის ადგილას იმყოფება და მაინც მიმართავს ძალადობას, როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლებისადმი უპატივცემულობას ავლენს. "საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი", საიდანაც გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, რომ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მოქალაქეებმა თავიანთი საარჩევნო უფლებების მშვიდ და ცივილიზებულ გარემოში რეალიზაცია შეძლონ“, — აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.**

# კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი უმძიმესი სენის დაძლევის გზაზე

## როცა მუდმივი განვითარება და განახლება კლინიკის ყოველდღიური ცხოვრება-საქმიანობის წესია

**გუშინწინ, 2016 წლის 13 ივნისს, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში (ხალხი მას უფრო მეტად ფრიდონ თოდუას კლინიკად იცნობს) ახალ, ძალზე მნიშვნელოვან, რამდენიმემილიონიან კონტრაქტს მოეწერა ხელი: ეს გახლავთ ცნობილი ამერიკული ფირმა Varian-ის წარმოების ახალი თაობის სხივური ამაჩქარებლის EDGE Radiosurgery System-ის შეძენის ხელშეკრულება.**

**უნდა ითქვას, რომ მსგავსი რამ ამ დაწესებულებისთვის ძალზე მიღებული პრაქტიკაა და, ამდენად, ის ხშირად გამხდარა ფართო საზოგადოების ყურადღების საგანი.**

**არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ამ კლინიკაში მუშაობს აპარატურა, რომლის მსგავსიც ბევრი, თანამედროვე ევროპული კლინიკისთვისაც საოცნებოა, არაერთი უცხოელი ექსპერტი აღფრთოვანებულა ასეთ მცირე სივრცეში მსგავსი უნიკალური დანადგარების კონცენტრაციით.**

**2014 წელს საზოგადოება მორიგი, სრულიად უნიკალური პროექტის დაგვირგვინების მოწმე იყო: ინსტიტუტში სპეციალურად ამისთვის აშენებულ ახალ კორპუსში ამოქმედდა Varian-ის ფირმის TrueBeam-ის მოდელის მაღალი ენერგიის ორი სხივური ამაჩქარებელი, რითაც პრაქტიკულად საფუძველი ჩაეყარა საქართველოში სხივური თერაპიის განვითარების ახალ ეტაპს.**

**ახლა კი, როგორც ვთქვით, ინსტიტუტში კიდევ ერთი ახალი თაობის სრულიად უნიკალური აპარატის შეძენის თაობაზე მოლაპარაკება დასრულდა. საგაზეთოდ გავესაუბრეთ შეხვედრის რამდენიმე მონაწილეს:**

**ფრიც დერერი – „ვარიანის“ ევროპის ოფისის ხელმძღვანელი:**

დიდი ხანია, ვიცნობ პროფესორ ფრიდონ თოდუას და მინდა, გითხრათ, აღფრთოვანებული ვარ იმ ტექნოლოგიებით, რომლებიც ამ დაწესებულებაშია თავმოყრილი. უფრო მეტიც, **შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ პრაქტიკულად არსად მინახავს სხვა სამედიცინო დაწესებულება, ინსტიტუცია, საუნივერსიტეტო კლინიკა თუ ჰოსპიტალი, სადაც ასეთი წარმატებული მენეჯმენტი არსებობს სიმსივნური დაავადებების მკურნალობაში.** არსად არ მეგულება, რომ დღეში 130-140 ონკოლოგიურ პაციენტს ატარებდნენ 2 სხივურ ამაჩქარებელზე. ეს მეტყველებს, თუ როგორი დიდია მოთხოვნა სხივურ თერაპიაზე.

ახალი სხივური თერაპიის დანადგარი, რომლის შეძენასაც დღეს მოვაწერეთ ხელი (EDGE Radiosurgery System), არამარტო გააიოლებს პაციენტების მიღების პროცესს, არამედ მნიშვნელოვნად გააფართოებს მკურნალობის შესაძლებლობებსაც, რადგან ეს დანადგარი აღჭურვილია ისეთი პროგრამებით და აქვს ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც აქამდე არ იყო ხელმისაწვდომი. ეს არის **საქართველოში კიბოს მკურნალობის განხრით ახალი ათვლის წერტილი, უახლესი ტიპის აპარატი, რომელსაც ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის უამრავი საშუალება აქვს და მის სიკეთეს მალე იგრძნობენ საქართველოში.** უნდა აღვნიშნო, რომ ამ ტიპის აპარატი პირველი იქნება რეგიონში. **ასეთი სხივური ამაჩქარებელი არ არის არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში, არ არის თურქეთში და ევროპის ბევრ წამყვან კლინიკაშიც კი.**

ასე რომ, ეს შენაძენი ეპოქალურია ჩვენი კომპანიისთვისაც. ჩვენ დაინტერესებული ვართ ბატონ ფრიდონ თოდუასთან თანამშრომლობით, რადგან ვხედავთ მის დიდ პოტენციალს და უკვე ვიცნობთ, როგორც საიმედო პარტნიორს. შევეცდებით, მომავალშიც აქტიური გრძელვადიანი და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა შევინარჩუნოთ, მითუმეტეს, რომ მიმდინარე ხალშეკრულება მოიცავს სპეციალისტთა მომზადების პროცესსაც: ჩვენ უზრუნველვყოფთ როგორც ექიმების, ასევე სამედიცინო ფიზიკოსებისა და ინჟინერთა ჯგუფის სწავლებას და დახელოვნებას.



ამაჩქარებლის შეძენის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

**ფრიდონ თოდუა – კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, აკადემიკოსი:**

– დღეისთვის მთელს მსოფლიოში აღინიშნება ონკოლოგიური დაავადებების სიხშირის მატების განუხრელი ტენდენცია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოს 14 მლნ-ზე მეტი ახალი შემთხვევა რეგისტრირდება.

ექსპერტთა შეფასებით, უახლოეს ოც წელიწადში მოსალოდნელი დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე, უკვე 2035 წლისთვის, ახალი შემთხვევების რაოდენობა 22 მლნ-ს გადააჭარბებს, გაუსწრებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს და პირველ ადგილს დაიკავებს დედამიწის მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში. უფრო გასაგები რომ იყოს, ვიტყვი, რომ საქართველოში ყოველწლიურად აღირიცხება 14 000-მდე ახალი ონკოლოგიური პაციენტი, რომელთა 65-70%-ს სხივური თერაპიის პროცედურების ჩატარება ესაჭიროება. არ არის გასაკვირი, რომ ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის პრობლემები მსოფლიო ჯანდაცვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად იქცა. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურის სრულყოფისთვის, მკურნალობის მეთოდების დახვეწისთვის. ამასთანავე, დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები მოითხოვენ არამარტო მაღალტექნოლოგიურ დანადგარებს, ამ დანადგარების მუდმივ სრულყოფას და ახალი, პროგრესული ტექნოლოგიების ათვისებას, არამედ სპეციალისტთა უწყვეტ მომზადებას, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია.

2014 წლიდან ინსტიტუტმა მიზნად დაისახა ონკოლოგიური მიმართულების გაძლიერება – აშენდა ახალი კორპუსი, სადაც განთავსდა ონკოლოგიის (ქიმიოთერაპიული) და რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტები. ექიმი-ონკოლოგები დეტალურად იკვლევენ თითოეულ ონკოლოგიურ პაციენტს და მულტიდისციპლინური გუნდი ირჩევს მკურნალობის ტაქტიკას. უნიკალურ რადიკალურ და ორგანოშემანარჩუნებელ ონკოქირურგიულ ოპერაციებთან ერთად, პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, აქვე ჩაიტარონ კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის ყველა კომპონენტი – ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია, ტარგეტული თერაპია. რადიაციული ონკოლოგიის განყოფილება აღჭურვილია Varian-ის ფირმის 2 უახლესი ხაზოვანი ამაჩქარებლით TrueBeam-ით. მასში ინტეგრირებულია სპეციალური კომპიუტერული ტომოგრაფი 3D გამოსახულების მიღებისა და მკურნალობის ტექნოლოგიების სინქრონიზაციით, რომლის საშუალებით პაციენტს უტარდება ზუსტ გამოსახულებაზე დაფუძნებული სხივური თერაპია. ეს უახლესი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, გაცილებით დიდი სიზუსტით, ჯანმრთელი ორგანოებისა და ქსოვილების დაცვით, მოხდეს სამიზნე უბნის მაქსიმალურად ზუსტი, წერტილოვანი დასხივება. თრუბიმის შემოტანა საქართველოში სხივური თერაპიის ახალი მიმართულების დასაწყისია.

**მინდა, ყურადღება გავამახვილო ამ პროექტის კიდევ ერთ ასპექტზე, რომლითაც იგი დღევანდელი საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და რისი გათვალისწინებითაც ითვლება, რომ ეს პროექტი არის უფრო პატრიოტული, ვიდრე კომერციული.**

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი, კვალიფიციური სხივური თერაპიის კურსის გავლისთვის, იძულებული ხდებოდა, საზღვარგარეთ წასულიყო სამკურნალოდ, რაც, მოგეხსენებათ, ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, და რისი სახსარიც მოსახლეობის უმრავლესობას არანაირად არ გააჩნდა, ამდენად, მოკლებული იყო მკურნალობის შესაძლებლობას.

**საქართველოში „თრუბიმის“ ამოქმედებით ამ პრობლემის გადაჭრას საფუძველი ჩაეყარა, რადგან საქართველოში ონკოლოგიური დაავადებების სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, დღესდღეობით სულ მცირე ხუთი-ექვსი ასეთი აპარატია საჭირო.**

დღეს ავადმყოფებს ეძლევათ საშუალება, ადგილზევე, საზღვარგარეთ გაუმგზავრებლად მიიღონ სწორი და სრულფასოვანი დახმარება. მითუმეტეს, რომ საყოველთაო დაზღვევასთან თანამშრომლობის წყალობით ჩვენს მოქალაქეებს უნიკალური და ძვირად ღირებული მკურნალობის კურსის გავლა სრულიად უფასოდ შეუძლიათ. სწორედ ამ პატრიოტული მოტივით ვხელმძღვანელობდით, როდესაც სულ რაღაც 6 თვის წინათ კიდევ ერთი თანამედროვე სხივური თერაპიის აპარატის შეძენაზე დავიწყეთ ფიქრი ვარიანის ხელმძღვანელობასა და საქართველოს ჯანდაცვის მინისტრთან ერთობლივი შეხვედრის დროს.

**მიხარია, რომ დღეს ფაქტობრივად კიდევ ერთი შესრულებული პროექტის მონაწილენი ვართ: წლეულს სექტემბერში, ახალ, სპეციალურად ამისათვის აშენებულ კორპუსში ამოქმედდება ვარიანის ფირმის ახალი გენერაციის სხივური ამაჩქარებელ EDGE RADIOSURGERY SYSTEM და ბრაქიოთერაპიის აპარატი.**

რადიოქირურგიული აბლაციისათვის შექმნილ ტექნოლოგიებში EDGE Radiosurgery System თანამედროვე მკურნალობის განხორციელების თვალსაზრისით ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიური შესაძლებლობის მქონე აპარატია.

**ფართომასშტაბიანი კლინიკური კვლევების შედეგები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ მაღალი სიზუსტისა და ეფექტურობის გამო მას დღეს ფაქტობრივად ანალოგი არა აქვს.**

EDGE მიზანმიმართულად რადიოქირურგიული მკურნალობისათვის შექმნილი აპარატია, რისთვისაც სიზუსტე ზოგადად ამოსავალი წერტილია. ის დასხივების რეალურ რეჟიმში უზრუნველყოფს სამიზნე მოცულობის მოძრაობის კონტროლსა და კორექტირებას, **რაც რადიაციულ ონკოლოგებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ მაღალი დოზის დიდი სიზუსტით ფოკუსირება ირგვლივმდებარე ჯანმრთელი ქსოვილების მაქსიმალური დაცვით.** შეიძლება ითქვას, რომ ყველა თავისი ტექნოლოგიური შესაძლებლობით EDGE-მა მკვეთრად შეამცირა არა მხოლოდ სრული მკურნალობის, არამედ ფრაქციული მკურნალობის ხანგრძლივობაც, რითაც უკან ჩამოიტოვა რადიოქირურგიისათვის აქამდე ცნობილი და აღიარებული ტექნოლოგიები.

**დღესდღეისობით EDGE RADIOSURGERY SYSTEM ევროპისა და ამერიკის მხოლოდ რამდენიმე წამყვან კლინიკაშია.**

**ჩვენ გეგმაზომიერი, კარგად გათვლილი პროექტების შესრულების დიდი გამოცდილება გვაქვს, ასე რომ, მომავლის იმედიც დიდია. სიახლეებისა და ინოვაციების გარეშე ცხოვრებას ინტერესი არა აქვს.**

**შეიძლება ითქვას, დინამიკური განახლების პროცესში ვიმყოფებით და ნამდვილად არ ვაპირებთ მიღწეულზე შეჩერებას – სერიოზული ამოცანა დავისახეთ – გვინდა, შევქმნათ ისეთი ძლიერი ონკოლოგიური სამსახური, რომ არც ერთ ონკოლოგიურ პაციენტს არ მოუწიოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოს საზღვრებს გარეთ გამგზავრება. ეს სერიოზული გამოწვევაა – ონკოლოგია ძალზე სპეციფიკური და რთული დარგია, მაგრამ დღეს ამ სირთულეების დაძლევისთვის ყველა საჭირო ინტელექტუალური თუ მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გვაქვს. მუდმივი განვითარება და განახლება – ეს ჩვენი ცხოვრების წესია.**

**თეა მოსია.**

# მრავალპროფილური ჰოსპიტალი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე

**ვარკეთილი-ვაზისუბნის მოსახლეობა დღეიდან პედიატრიული და მოზრდილთა სტაციონარული სერვისების ადგილზე მიღებას შეძლებს, – მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი, 100-საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსთან, „ჰუალინგ ჯგუფის“ გენერალურ დირექტორ ვანგ შენგსინისთან და „თბილისის ზღვის ჰოსპიტლის“ გენერალურ დირექტორ თეა ახალაძესთან ერთად გახსნა.**

**პროექტში კომპანია „თბილისის ზღვის ჰოსპიტალმა“ „ჰუალინგ ჯგუფთან“ ერთად, 4,5 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა და 447 ადამიანი დაასაქმა.**

**პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ ვარკეთილი-ვაზისუბნის მოსახლეობას, რომელსაც სამედიცინო მომსახურების მიღება ქალაქის სხვა რაიონებში უწევდა, ამიერიდან მაღალტექნოლოგიური კლინიკა საკუთარ რაიონში მოემსახურება.**

**ამ ყაიდის სათაურს პავლე ინგოროყვა მოიფიქრებდა წიგნისთვის, რომელიც გამოუცემელი დარჩებოდა: „უცნობი გრიგოლ ორბელიანი“.**

**მოხდენილი და შთამბეჭდავი სახელწოდებაა, არა?**

**თუმც იმჟამად გამოუყენებელი დარჩებოდა და ვერც იმ გამოცემას მოეზმოდა თავი: „უცნობი პავლე ინგოროყვა“, ეს სათაური მაინც არ დაიკარგებოდა და თავს ამოჰყოფდა 2001 წელს იუზა ევგენიძისა და ნანა ფრუიძის მიერ შედგენილი კრებულის – „უცნობი აკაკი“ – გარეკანზე.**

**როგორ, აკაკი წერეთელიც შეიძლება ყოფილიყო უცნობი?**

**აბა და...**

ის კი არა, კიდევ ბევრი უცნობი გარემოება რჩებოდა მიუკვლეველი მის პიროვნულ ხასიათშიც და ყოფით ცხოვრებაშიც, ოცტომეულის XVII-XVIII ტომები ერთბაშად რომ გადმოშლიდა მკვლევართა თვალწინაც, და მკითხველისკენ კი შესაფერისი კომენტარების დართვით რომ გაიკვლევდა გზას აკაკი წერეთლის ბარათებში თავმოყრილი მრავალფეროვანი და უაღრესად საგულისხმო ცნობები.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩვეულია არაორდინარული მეცნიერული თუ სალიტერატურო თავყრილობანი, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციები, ჩვენი მკვლევარები ღირსეულად რომ წარმოაჩენენ ხოლმე ქართული ლიტერატურისმცოდნეობის მაღალ რანგს, და ამ შეკრებათა ციკლში თავისებურად კოლორიტული აღმოჩნდებოდა თავყრილობა, რომელიც მიეძღვნებოდა უცნობი აკაკის ახალ-ახალი პიროვნულ-ბიოგრაფიული შტრიხების გამოკვეთას და გახსნით კი გახსნიდა **ირმა რატიანი**, რომლის მოღვაწეობაც ინსტიტუტის დირექტორის რანგში ახალ სხივს შემატებდა ამ კულტურულ კერას უამრავი სასიკეთო საქმის აღსრულებით, და აკაკი წერეთლის ოცტომეულსაც იგი რომ ჩაუდგებოდა სათავეში და ჩვეული წარმატებითაც.

თვალსაჩინოებად იმისა, თუ როგორ შეგვეძლო პირადი წერილების შემწეობით აღგვედგინა ეპოქის რეალური სურათიც და აკაკის პანორამული სახეც – მისი შემოქმედებითი და სულიერი ბიოგრაფია, **ჯული გაბოძე** მოიხმობდა მასალას, რომლის ფონზეც ეს მრავალმხრივი მწერალი და მოღვაწე – მგოსანი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, პოლემისტი, დრამატურგი და თეატრის რეჟისორი, ორატორი, ყველა მიცვალებულის ჭირისუფალი და ეპიტაფიების შემთხზველი, ლექტორი და ყველა საზოგადო ღონისძიების სასურველი მონაწილე და საპატიო სტუმარი – წარმოჩნდებოდა ძალიან აქტიურ და მრავალმხრივ ბიზნესმენადაც, თუმც... მოგებას კი ვერასდროს ნახავდა.

მისი ინიციატივით ჩამოვიდოდა საქართველოში სიმონოვიჩი და გაემგზავრებოდა ჯერ სვანეთში და შემდეგ კი თიანეთში ოქროს საძიებლად.

ერთ ინგლისელ მილიონერს ახტალაში ჩაიყვანდა, იქნებ დაეინტერესებინა, და ახლობლებს სთხოვდა, ეგებ ინგლისური მარილის ან მიწის სანთლის ნიმუში ეშოვნათ.

ცოლ-შვილს ჰპირდებოდა: როგორც კი ფულს მოვიგდებ ხელთ, პეტერბურგს გავწევ ფუტკრის საქმის მოსაგვარებლადო.

ხარკოვში გაემგზავრებოდა ცოლ-შვილის დაჟინებული მოთხოვნით, შეხვდებოდა მათ მიერ მარგანეცის საქმეების „აპეკუნად“ დანიშნულ კაცს და იმავდროულად ახალი საქმის (საღებავების ქარხნის) დაარსებაზე შეუდგებოდა ფიქრს.

მოგებაზე მეტ დანაკარგს რომ ნახულობდა, იმედოვნებას მაინც ყოველთვის ინარჩუნებდა და ერთ ბარათში ცოლ-შვილს გაამხნევებდა: კვერეთი დავკარგეთ, სამაგიროდ ჩვენს გონჯხევში აღმოჩნდა მინერალური წყალი, რომელიც შემოსავალს მოგვცემსო.

ან კიდევ: მიწის ნავთობიანი ნაკვეთი მივიღე და ახლა საჭიროა შედგეს კომპანია და დაიდგას ჭაბურღილები, მაგრამ მერე რა იქნება, არ ვიცი. სხვები მდიდრდებიან, მილიონერები ხდებიან, მაგრამ მე ამის იმედი არა მაქვსო.

მარგანეცის აღმოჩენით თვითონ თუ ვერას იხეირებდა, ქვეყანას ხომ მოუტანდა სიკეთეს, თუმც ამის თაობაზე აქამდეც მოგვეხსენებოდა და მკვლევარიც ამჯობინებდა მისი მოგზაურობის მარშრუტისათვის მიედევნებინა მზერა, უჩვეულო სურათი რომ წარმოჩნდებოდა დაუღალავი მიმოსვლისა სად აღარ – ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში, ერთი სასტუმროდან მეორე სასტუმროში, ერთხელაც სასტუმროს კრედიტი რომ ამოეწურებოდა და პირად წერილში დაიჩივლებდა:

ზაფხული მაინც იყოს, სადმე ბაღში სკამზე მოვიკრუნჩხებოდიო.

პანაშვიდიდან პანაშვიდზე უნდა გაჩქარებულიყო, სასამართლოდან სასამართლოში, თეატრიდან თეატრში, არ გამოეტოვებინა არცერთი ღონისძიება, არცერთი სახალხო კრება, არცერთი ლიტერატურული საღამო, სათავადაზნაურო თუ საბანკო კრებები და კენჭობია. დადიოდა ხან უბრალო მწირივით და ხანაც ზევსივით. ეს იმერეთიო, ეს სადღაც მუხიანიო, ეს გორიო, ეს ფოთიო, ეს ბათუმიო, ეს თელავიო, ეს ყვარელიო, ეს ქუთაისიო, ეს ზუგდიდიო, ეს ჭიათურაო, ეს ბაქოო, ეს სტამბოლიო (პარიზში მიმავალს რომ მოუწყობდნენ ქართველები შეხვედრას), ეს მოსკოვიო, ეს პეტერბურგიო, ეს პარიზიო, ეს ჟენევაო, ეს ოდესაო, ეს ხარკოვიო... და ჩანგი მისი კვლავაც ჟღერდა, და პოლემისტის კალამსაც მწარედ ატრიალებდა, „აკაკის თვიურ კრებულსაც“ გამოსცემდა ოთხი წლის განსათვის სრულიად არა ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რას ამბობდნენ სხვები, როგორ აღიქვამდა საზოგადოება მის ამა თუ იმ საქციელსა თუ მოქალაქეობრივ პოზიციას, რაკიღა „გაკერპებულ წინსვლაში“ საკუთარი გზისათვის არასოდეს გადაეხვია. მაგრამ პირად წერილებში არ არის დაფარული მისი სულიერი ტანჯვა ადრეული სიჭაბუკიდან მოკიდებული ღრმა სიბერემდე, როდესაც ადამიანთა გაუტანლობას, „მგონიაობას“, უსულგულობასა და ეგოიზმს აწყდებოდა:

**– მადედგან როგორ წამოვედი თქვენც იცით, თუ ვინ რას მეუბნებოდა და რაებს ამბობდნენ ჩემზედ, ისე, რომ კინაღამ ჭკუიდან შევიშალე... ოპიონ ნასვამივით დავხეტებოდი და რას ვშვრებოდი, აღარც მე ვიცოდი.**

ეს სიტყვები 1859 წელს დაიწერებოდა.

გავიდოდა ნახევარი საუკუნე და... არაფერი შეიცვლებოდა:

# მარად უცნობი აკაკისაკენ

## ციკლიდან „დროის იეროგლიფები“



მავლობაში, და გაზეთ „ხუმარას“ ერთ ნომერსაც, ამისათვის ერთი დღე-ღამე ციხეშიც რომ აყურყუტებდნენ.

ყველაფერს გაწვდენოდა, და ლიტერატურული განძიც დაეტოვებინა შთამომავლობისათვის და... თვითონ კი ეს წუხილი არ ეშვებოდა: სახუროთმოძღვროდ ვერ მოვიცალეო.

აკაკი მკითხველის წინაშე წარმოდგება თავისი მეამბოხური სულითა და საკმაოდ რთული ხასიათით?

**ნანა ფრუიძე** საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა მის პიროვნულ თვისებებს, ბარათებში ძალდაუტანებლად გამჟღავნებულს, და გამოჰკვეთდა, რომ აკაკი სინამდვილეში ძალზე მგრძნობიარე ბუნების ადამიანი ყოფილა.

პოეტი მიიჩნევდა, რომ ეს თვისება, ყველა დედმამიშვილისაგან განსხვავებით, დედისაგან მხოლოდ მას ერგებოდა მემკვიდრეობად. ალბათ ამიტომაც ეძვირფასებოდა გამორჩეულად დედის აზრი და შეხედულება მის თვითეულ ნაბიჯზე და ნიშანდობლივია ის თითქმის დაუჯერებელი და თან ღიმილისმომგვრელი პასაჟი დედასთან მიწერილი წერილიდან 1860 წლის 25 აპრილს: „საიდუმლო ბარათი“ რომ დავწერე, თქვენი შემეშინდა და „სინანულის ლოცვაც“ მივაყოლეო.

რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა ყოფილიყო აკაკისათვის დედის თვითეული თბილი სიტყვა, მოსწონდა, რომ ეკატერინე დედაშვილური სიყვარულის გამოსახატად გაცვეთილ სიტყვებს არ იყენებდა.

საგულისხმოდ წარმოდგება სრულიად ჭაბუკი, 19 წლის, პოეტის დამოკიდებულება განათლებისადმი და მშობლების მხრიდან მისი განვითარებისათვის გაღებული ხარჯის გამო პასუხისმგებლობის მძაფრი განცდა:

**– უარს ვყოფ ტიატრს, კამედიას და ამისთანეებს. რა უყოთ, ამათ ყოლიფერს მოესწრება კაცი და სწავლას კი ვეღარ. მადედგან რომ აქ წამოვიდეს კაცი და ვერა ისწავლოს რა, ცოდვა არ არის?.. დიდად ვსწუხვარ, ღმერთმან იცის, ამდენ ხარჯსა, მაგრამ ესეც მანუგეშებს, რომ ვხედავ ისეთი დრო მოდის, რომ საჭირო არ არის კაცს დარჩეს მამისგან სიმდიდრე და ამისთანეები. საჭირო ყოფილა კაცისთვის ერთი მხოლოდ სწავლა, სწავლა ნამდვილი, რომელიც კაცს დაუახლოებს ღმერთს, აყენებს კეთილს ხასიათზედ, და აცნობებს თუ რა დანიშნულებით არის კაცი შექმნილი. მაშ ამას რაღა სიმდიდრე და ხარისხი აჯობებს.**

გარეგნულად ისე მოჩანდა, რომ აკაკი-

**– რომ იტყვიან, გარეთ მტერს სჭრის თვალებს და შიგნით კი მოყვარესო, სწორეთ ჩემზეა გამოწერილი: გარეგანად გადაჭარბებულს შინაგანად ტანჯვა-ვაების მეტი არა გამომიცდია რა!**

ადამიანთა გასაჭირი ყოველთვის გულთან რომ მიჰქონდა, ამიტომაც ვერ ეგუებოდა უსამართლო უგულობას... და მძიმედ ავადმყოფსაც, 1914 წელს, არ შეეძლო მოყვასის გასაჭირი უპასუხოდ დაეტოვებინა, დახმარებას რომ ჰპირდებოდა უსამართლოდ დაჩაგრულს...

რამხელა იმედებს ამყარებდა მარგანეცზე, რომ ეგონა, მარტო ჩემს ხელთ იქნება და სასარგებლოდ მოვახმარ ქვეყანასაც და ეროვნულ მოთხოვნილებებსაც, მიწები ხომ ქართველებისა იქნება, მუშებსაც ქართველებს ავიყვან და ის დიდი მოგება, რომელიც მოსალოდნელია, ჩვენებს შეძლებას მისცემს, რათა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოება დააწესონო... ვაი, რომ ისე ვერ წარიმართებოდა ეს პროცესი და აკაკი გულნაკლული დარჩებოდა ძალზე მცირედით, სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.

იქ ტასო მაჩაბელთან გაგზავნილი ბარათების სერია, აკაკის რომ ვერ მოენელებინა ბრბოს დამოკიდებულება სიყვარულთან: რა გაეგება მას საზენაო ტრფიალებისა? იმას ჰგონია, რომ ტრფიალება მხოლოდ სისხლის ღელვა და ხორცის ფხანვაა და არა წრფელი სული – სიწმინდით წმინდა გულივე დასადგურებულიო.

იქ კიდევ დასტური იმისა, რომ პოეტს კრიტიკულ ჟამს ევალება მყუდრო კაბინეტის დატოვება და, საფრთხის მიუხედავად, ყველაფრის გაკეთება სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აგერ თუნდ ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილი ბარათებიდან რომ ირკვეოდა, თუ როგორ არ კმაყოფილდებოდა აკაკი მარტოდენ თეორიული მოწოდებებით და უშუალოდ ჩაერთვოდა ჭარის შემოერთებისათვის ბრძოლაში.

ან აგერ მისი თავგამოდება გელათის განძეულობის დაკარგვის გამო, გაბრიელ ეპისკოპოსთან მიწერილი ბარათი რომ ადასტურებდა, თუ როგორ ამხელდა ბოროტმოქმედებაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს – ლევაშოვს და ეგზარხოს ევსევის... ხელისუფლება მოახერხებდა, რომ აკაკის ვერსად დაატყდა ამ მოლოდინზე მკაცრი გამოხმაურება, მაგრამ პირად მიმოწერას რაღაც მიადევნებდნენ თვალს.

მკვლევარი იმედოვნებს, რომ ბარათში მოხსენიებული რეალიების გამოწვლილვით შესწავლა კიდევ არაერთ საყურადღებო გარემოებას მოჰფენდა ნათელს, ორიოდე თვალსაჩინო ნიმუშით კი წინასწარვე გააცხადებდა, რამდენი სიახლე ელოდა მკითხველს აკაკის ეპისტოლური მემკვიდრეობით გაცნობით.

**ელისაბედ ზარდიაშვილი** და **მაია არველაძე** წარმოაჩენდნენ XIX ტომს, როგორც უპრეცედენტო მოვლენას ქართული ტექსტოლოგიის სინამდვილეში, მომცველს მგოსნის ცხოვრების, შემოქმედებისა და საქმიანობის მრავალფეროვანი მასალისა, რომლის ზოგადი ჩამონათვალიც ასე გამოიყურებოდა:

განცხადებები (ლიტერატურული და საქმიანი), მოსაწვევი ბარათები, სადარბაზო ბარათები, ნებართვები, პოეტის მიერ გაგზავნილი დეპეშები, ჩანაწერები ნაწარმოებთა დაწერისა თუ დახვეწის მიზნით, ხარკოვისა და საზღვარგარეთის პასპორტები, სიტყვები (წარმოთქმული როგორც საზოგადოებრივი მოვლენების დროს, ასევე ბანკისა და წერა-კითხვის საზოგადოების სხდომებზე), ხელშეკრულებები, მინდობილობები, აკაკის სახლში გამართული სადილის მენიუ (1899 წლის 25 ივნისს), სასტუმროს ანგარიში, გენეალოგიური ფურცლები, ნიშნების ფურცლები, ცნობა ავადმყოფობის შესახებ, წამლის რეცეპტები და ანდერძი.

ამ მასალის დამუშავებით თანდათან ეფინება ნათელი აკაკი წერეთლის ბიოგრაფიაში ჩვენთვის უცნობ მონაკვეთებს, ზოგიერთ მოვლენას ეცვლება თარიღი, იკვეთება კლასიკოსის პიროვნული ხასიათი, წინა პლანზე გადმოინაცვლებს მისი არამარტო შემოქმედებითი ცხოვრება, ასევე – ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრებისეული პრობლემები.

ავადმყოფობის ფურცლისა და აკაკისათვის იმჟამინდელი ცნობილი ექიმების მიერ გამოწერილი წამლის რეცეპტების გაშიფვრითა და შესწავლით, მწერლის პირად წერილებში აღწერილ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვებით შესაძლებელი გახდებოდა მისი ანამნეზის დადგენა და სავარაუდო დიაგნოზის დასმაც კი.

მკვლევარები იმედს გამოთქვამდნენ, რომ საქმიანი ქაღალდებისა და დოკუმენტების ცალკე ტომში თავმოყრა საგულისხმო იქნებოდა რიგითი მკითხველისთვისაც და სხვადასხვა დარგის მეცნიერთათვისაც. და საერთოდაც ამ ყაიდის ტომები ახალი კვლევების წარმართვისათვის დიდი ბიძგის მიმცემი და შემაგულიანებელი გახდებოდა.

ტექსტოლოგია – მიუხედავად გარეგნული და მოჩვენებითი სიმშრალისა – პოეზიასთან რომ არის წილნაყარი, ის დღეც და ის ნარკვევებიც ხელშესახებად დაადასტურებდა, თავდაუზოგავი ჯაფის შესაფერისი ნაყოფი – სად აღარ ნაჩხრეკი და მოძიებული მასალის შესწავლა-გააზრების საფუძველზე შექმნილი, გაკრული ხელით ნაწერს განსაკუთრებული კირკიტი რომ ესაჭიროებოდა გასაშიფრად და ამოსაცნობად... და აგრეთვე – წინა პუბლიკაციებისას გაპარულ შეცდომათა თუ ხარვეზთა გასასწორებლად, ხან ცენზურა სულაც შეგნებულად რომ ერეოდა და ამახინჯებდა ტექსტებს...

პოეზიასთან რომ არის წილნაყარიო...

მკვლევართა მიერ ორატორული ხელოვნებით გადმოცემულ შინაარსს ყველა შემთხვევაში ჰკრავდა მოხდენილად გამოძებნილი კომპოზიციური ქარგა და სტილური დახვეწილობა და... ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობას სამი ჩინებული ნარკვევი ამიტომაც აქვს ნაშოვნი.

დიდად არ გიკვირს, როდესაც აკაკი წერეთლის ბიზნესმენურ მოღვაწეობასა თუ დაუღალავ მოგზაურობას შთამბეჭდავად წარმოგისახავენ, ანდა მისი სულის მოძრაობასა თუ ფორიაქს გულისშემძვრელად მიგადევნებინებენ თვალს, მაგრამ ავადმყოფობის პერიპეტიების აღწერა თუ შეიძლება დოკუმენტურ ნოველას დამსგავსებოდა, წინასწარ ნაკლებ ივარაუდებდი, თუმც ჩვენი მეცნიერებისაგან აღარც ეს უნდა გაგვიკვირდეს.

* * *

**აკაკი წერეთელი ბევრწილად მაინც უცნობი და იდუმალებაში დანთქმული დარჩება?**

**ცხადია, მაგრამ იმ უცნობობისა და იდუმალებისაკენ უაღრესად სანდო, თავიანთი საქმის საუკეთესო მცოდნე მეგზურები რომ მიგიძღვიან და არაერთ დაფარულ რეალიას გაგითვალსაჩინოებენ, ესეც ხომ საქმეა და თანაც როგორი საქმე!..**



**როსტომ ჩხეიძე**

ადამიანი დროში



# უქრობი ვარსკვლავი ქართული მეცნიერების ცაზე

## აკადემიკოსი ანდრო ბიწაძე – 100

*ასი წელი შესრულდა ქართველ მათემატიკოსთა პლეადის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის* ***ანდრო ბიწაძის*** *დაბადებიდან. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველხარისხოვანი მეცნიერული მიღწევები ელიფსური განტოლებებისა და სისტემების სასაზღვრო ამოცანების თეორიაში, შერეული და შერეულ-შედგენილი ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა თეორიასა და ჰიპერბოლურ განტოლებათა სისტემების თეორიაში, მრავალგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, არალოკალური სასაზღვრო ამოცანების თეორიასა და კვაზიწრფივი განტოლებებისა და სისტემების თეორიაში. ზემოხსენებული განტოლებები და სისტემები ბუნებისმეტყველების, ფიზიკისა და ტექნიკის მრავალრიცხოვანი მოვლენების მოდელირებას წარმოადგენენ.*

ანდრო ბიწაძე დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში. 1931 წელს მან დაამთავრა ჭიათურის პედაგოგიური ტექნიკუმი და რამდენიმე წლის განმავლობაში მათემატიკასა და ფიზიკას ასწავლიდა ცხრუკვეთის, ჭალისა და ნიგოზეთის სკოლებში.

1935 წელს ანდრო ბიწაძე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1940 წელს დიდი წარმატებით დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. პარალელურად 1941-1947 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ წლებში ანდრო ბიწაძე იყო ნიკო მუსხელიშვილის მიერ დაარსებული იმ სამეცნიერო სემინარის აქტიური მონაწილე, რომლის წიაღშიც მიღებულმა შედეგებმა აგრერიგად გაუთქვა სახელი ქართულ მათემატიკურ სკოლას.

1948 წელს ანდრო ბიწაძე ჩაირიცხა მოსკოვის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დოქტორანტურაში. 1951 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიწვეულ იქნა ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1959 წელს იგი გადავიდა ნოვოსიბირსკში, სადაც 1971 წლამდე მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციათა თეორიის განყოფილების გამგედ. იმავდროულად, 1959-1971 წლებში იყო ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფუნქციათა თეორიის კათედრის გამგე. 1971 წელს ანდრო ბიწაძე დაბრუნდა მოსკოვში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჯერ კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების განყოფილების გამგედ, ხოლო 1989 წლიდან – დირექტორის მრჩევლად.

1979-1983 წლებში ანდრო ბიწაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ღრმა გამოკვლევებს მათემატიკის ფუნდამენტურ საკითხებში იგი ოსტატურად უთავსებდა მათი საშუალებით გამოყენებითი ამოცანების ამოხსნის გზების ძიებას.

ანდრო ბიწაძის პირველი მეცნიერული გამოკვლევები დაკავშირებული იყო დრეკადობის თეორიასთან. მან აღმოაჩინა ორი ბრტყელი დრეკადი სხეულის ადგილობრივი დეფორმაციის ჰერცის განზოგადებული ამოცანის ამოხსნა ცხადი სახით.

განსაკუთრებული საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ანდრო ბიწაძის შრომების ოთხმა ციკლმა. პირველ ციკლს მიეკუთვნება შერეული ტიპის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორია. ამ მიმართულებით მისი მიღწევების შესახებ ნ. მუსხელიშვილისა და ი. ვეკუას დახასიათებაში ვკითხულობთ: „შერეული ტიპის დიფერენციალურ განტოლებებამდე ბუნებრივად მივიდა ჩაპლიგინი გაზის ჭავლის დინების შესწავლისას... 20-იან წლებში ამ მიმართულების მნიშვნელოვანი შრომები გამოაქვეყნა იტალიელმა მათემატიკოსმა ტრიკომიმ, მაგრამ შემდგომ 25 წლის მანძილზე შერეული ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა განვითარება პრინციპულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ა. ბიწაძემ წარმატებით გადალახა ეს სიძნელეები. მის შედეგებს აქვს არა მარტო დიდი თეორიული, არამედ მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება, რადგანაც ამ ტიპის განტოლებებით აღიწერება გაზის დინება ბგერის სიჩქარის მახლობელი სიჩქარით და დრეკად გარსთა უმომენტო და დაძაბული მდგომარეობა“. ანდრო ბიწაძემ ჩამოაყალიბა და დაამტკიცა ექსტრემუმის პრინციპი ტრიკომის ამოცანის რეგულარული ამონახსნებისათვის იმ განტოლებისათვის, რომელიც დღეს ლიტერატურაში ატარებს ლავრენტიევ-ბიწაძის განტოლების სახელს.

აკადემიკოს ა. ბიწაძის გამოკვლევები ელიფსურ განტოლებათა სისტემების თეორიაში ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს. ეს უკვე მისი შრომების მეორე ციკლს განეკუთვნება. კერძოდ, მან ამოხსნა პუანკარეს ამოცანა, რომელიც დაკავშირებულია ზღვის მიმოქცევის შესწავლასთან. ეს ამოცანა ადრე ამოხსნილი იყო მხოლოდ ერთი ელიფსური განტოლებისათვის.

1948 წელს ანდრო ბიწაძემ გამოაქვეყნა შესანიშნავი შრომა, რომელშიც აღმოჩენილია საკმაოდ მოულოდნელი ფაქტი, რომ ერთი განტოლებისაგან განსხვავებით, განტოლებათა სისტემისათვის თანაბარი ელიფსურობის მოთხოვნა არ განაპირობებს არც მის ფრედჰოლმურობას და არც ნეტერისეულობას. ამასთანავე, მან შემოიღო სისტემის სუსტი ბმულობის ცნება, რომლის შესრულებაც უკვე უზრუნველყოფს დირიხლეს ამოცანის ფრედჰოლმურობას და პუანკარეს ამოცანის ნეტერისეულობას. სხვათა შორის, ანდრო ბიწაძის აღნიშნული შედეგები სახელმძღვანელოებშია შესული და ბიწაძის მოვლენის სახელს ატარებს.

ა. ბიწაძეს ეკუთვნის პირველხარისხოვანი გამოკვლევები ჰიპერბოლურ განტოლებათა და სისტემების თეორიაში, ჰარმონიული ფუნქციებისათვის დახრილი წარმოებულების ამოცანებში, ელიფსური ტიპის განტოლებებში არალოკალურ სასაზღვრო ამოცანებში. მან შეიმუშავა კერძოწარმოებულებიანი კვაზიწრფივი განტოლებებისა და სისტემების ზუსტი ამონახსნების აგების მეთოდი, რომელიც იძლევა საშუალებას აიგოს ზუსტი ამონახსნები მაქსველ-აინშტაინისა და სხვა ფართო კლასის განტოლებებისათვის.

მთელი რიგი მათემატიკური ობიექტები ლიტერატურაში ატარებენ ბიწაძის სახელს: ბიწაძის განტოლებები, ლავრენტიევ-ბიწაძის განტოლებები, ბიწაძე-სამარსკის ტიპის არალოკალური პირობები და სხვა. ანდრო ბიწაძის კალამს ეკუთვნის სამი მონოგრაფია, რომლებიც თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე.

ბრწყინვალე სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად აკად. ა. ბიწაძე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი იყო მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, კათედრის გამგე, მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის პროფესორი. მან შექმნა ფართო და ავტორიტეტული სამეცნიერო სკოლა, აღზარდა რა 13 მეცნიერებათა დოქტორი და 30-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი. ანდრო ბიწაძის კალამს ეკუთვნის სამი ფუნდამენტური სახელმძღვანელო, შესანიშნავი წიგნი თავისი მასწავლებლის ილია ვეკუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ა. ბიწაძეს მინიჭებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი.

ანდრო ბიწაძე იყო ენციკლოპედიური განათლების პიროვნება, მან შესანიშნავად იცოდა ისტორია და ლიტერატურა, წერდა ლექსებს, მშვენივრად ერკვეოდა ფერწერასა და არქიტექტურაში.

აკადემიკოსი ანდრო ბიწაძე გარდაიცვალა 1994 წელს. ურნა მისი ფერფლით დასვენებულია მოსკოვის დონის მონასტერში.

გამოჩენილი მეცნიერის ანდრო ბიწაძის სახელი უქრობ ვარსკვლავად მუდამ იკაშკაშებს ქართული მეცნიერების ცის ტატნობზე.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**

**აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება.**

# ნაცების ამაო ქოთქოთს ისევ სიცრუე ასაზრდოებს!

**ადამიანის** უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის საქმეზე, რომელიც გაგრძელდა 2013 წლის მაისიდან 2014 წლის თებერვლამდე.

გამოტანილი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოყვანილი დასკვნები ეხება მხოლოდ წინასწარი პატიმრობის პერიოდს და არ ეხება სასჯელის მოხდის პერიოდს.

არ დარღვეულა კონვენციის 5.1 მუხლი (წინასწარი პატიმრობის კანონიერება). მერაბიშვილი თავისი წინასწარი პატიმრობის უკანონობას ამტკიცებდა და ტიმოშენკოს პრეცედენტი მოჰყავდა მაგალითად, რაც სასამართლომ არ გაიზიარა და მერაბიშვილი არ სცნო პოლიტიკურ პატიმრად.

არ დარღვეულა კონვენციის 5.3. მუხლი 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებებით – წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობისას, მისი საფუძვლიანობის საკითხის განხილვის უფლება სასამართლოს მიერ.

დაირღვა კონვენციის 5.3. მუხლი 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით – წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობისას, მისი საფუძვლიანობის საკითხის განხილვის უფლება სასამართლოს მიერ.



დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი – წინასწარი პატიმრობის სხვა მიზნებით გამოყენების აკრძალვა, ვიდრე ამას ითვალისწინებს კანონი, 5.1 მუხლთან კავშირში.

ვანო მერაბიშვილის დაცვის მხარის არგუმენტის თანახმად, 2013 წლის 14 დეკემბერს მომხდარი ინციდენტისას იგი წაიყვანეს იძულებით მთავარ პროკურორთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსთან, რომელთაც მას მოსთხოვეს აღიარებითი ჩვენება.

ასევე, სასამართლოს დასკვნაში, პატიმრის განცხადება, რომ იგი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორების მიზნით დააკავეს, მოხსენიებულია, როგორც ვანო მერაბიშვილის არგუმენტი.

დარღვევებისთვის სასამართლომ ვანო მერაბიშვილს მიანიჭა 4 000 ევრო მორალური კომპენსაცია. თუმცა, თავად ითხოვდა 15 000 ევროს.

მის ადვოკატებს ჰონორარად კომპენსაცია მიენიჭათ 4-4 000 ევრო, თუმცა, ბრიტანელი ადვოკატი ითხოვდა 5 600 ევრო ჰონორარს, ოთარ კახიძე კი – 35 600 ევროს.

# წულუკიანი მერაბიშვილის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს

**იუსტიციის** მინისტრი თეა წულუკიანი ვანო მერაბიშვილის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს და აცხადებს, სტრასბურგის სასამართლომ მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა კანონიერად სცნო. სტრასბურგის სასამართლომ შავით თეთრზე თქვა, რომ მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა, რომელიც დაიწყო 2013 წლის მაისში და დასრულდა 2014 წლის თებერვალში, ანუ ორ წელიწადზე მეტი ხნის წინათ, არის კანონიერი. აქედან გამომდინარე, ეს იყო ჩვენთვის მთავარი და ეს მიღწეულია. ასევე სასამართლომ თქვა, რომ პირველი ორი გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შესახებ, ქართველმა მოსამართლეებმა დასაბუთებულად გამოიტანეს. რაც შეეხება დარღვევებს, სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ ერთ-ერთი გადაწყვეტილება 2013 წლის სექტემბრისა, რომელიც ქართველმა მოსამართლემ ზეპირად, ერთი ფრაზით გამოიტანა, წინასწარი პატიმრობის გირაოთი შეცვლაზე უარის შესახებ, იყო არასაკმარისად დასაბუთებულიო და ეს ჩაითვალა დარღვევად. სტრასბურგის სასამართლომ ასევე თქვა, რომ მერაბიშვილის მიერ მოყოლილი ინციდენტი, რომ თითქოსდა ის 2014 წლის დეკემბერში მიიყვანეს დარბაისელთან და ფარცხალაძესთან, ეს ინციდენტი არ იყო გამოძიებულიო და ამიტომ, ალბათო, არის მე-18 მუხლის დარღვევა, ალბათ იმიტომ, რომ შეიძლება, სხვა მიზნებიც ჰქონოდა მის წინასწარ პატიმრობაში ყოფნას. რაც შეეხება იმ დარღვევას, რაც დადგა, ამაზე მე იმედი მაქვს რომ პროკურატურა გამოძიებას ჩაატარებს, გამოძიების შედეგები გეცნობებათ ყველას. ჩვენ გვევალება, რომ ჩვენ ქართველ მოსამართლეებს ვასწავლოთ როგორ დაასაბუთონ გადაწყვეტილებები როცა ამბობენ, რომ გირაოს ვერ შეუფარდებს, წინასწარი პატიმრობის ნაცვლად. ეს არის ტრეინინგის მუდმივი პროცესი, ეს ჩვენ გვევალება. ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ, რომ მომავალში პატიმრებს არ დაუდგეთ იგივე ტიპის დარღვევა. ივანე მერაბიშვილისთვის ეს არის წარსულის დარღვევები, რომელიც მის ამჟამინდელ სამართლებრივ მდგომარეობაზე ვერ იქონიებს ვერანაირ გავლენას“...

# „მერაბიშვილის ოცნებების ნაწილი შესაძლოა ახდა“

**სტრასბურგის** სასამართლოს გადაწყვეტილებას პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა:

„ნებისმიერი დამნაშავის ოცნებაა, რომ ჰყავდეს ისეთი პროკურორი, გამომძიებელი, მოსამართლე, რომელიც დაუშვებს ისეთ შეცდომებს, რომელიც შემდგომ დამნაშავეს მისცემს საშუალებას ამაზე აპელირების. კანონში წერია, რომ საპროცესო უფლებები დაცული უნდა იქნეს და ასეთ შემთხვევაში, დამნაშავე სწორედ ამაზე ოცნებობს, რომ ამით მოახდინოს თავისი რეაბილიტირება. მეორე ოცნება დამნაშავეების, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არიან გარეული, არის, ჰყავდეს ისეთი პოლიტიკური ოპონენტები ხელისუფლებაში, რომლებიც თავიანთი განცხადებებით შექმნიან ისეთ ფონს, რომ ვიღაცამ დაასკვნას, თითქოს ისინი პოლიტიკური ნიშნით არიან დევნილი და არა კანონი სდევნის მას. არ არის გამორიცხული, რომ ვანო მერაბიშვილსაც ჰქონდა ასეთი ოცნებები და მისი ოცნებების ნაწილი შესაძლოა, ახდა“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას დავით უსუფაშვილმა.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნას, რომ პრეზიდენტმა უნდა შეიწყალოს ვანო მერაბიშვილი, დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრეზიდენტს უნდა აცადონ, მიიღოს გადაწყვეტილება. „ვაცადოთ პრეზიდენტს, მან კონსტიტუციის კითხვაც იცის, მისი გამოყენებაც იცის, მას შეუძლია, გაერკვეს ხოლმე საკითხებში, ვეტო ხან დაადოს, ხან არ დაადოს, პატიმარი ხან შეიწყალოს, ხან არ შეიწყალოს. ვაცადოთ პრეზიდენტს ყველა ამ გადაწყვეტილების მიღება თავისი კომპეტენციის ფარგლებში“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

# ჯონ მიარშაიმერი: თუ საქართველო ხარ და ესაზღვრები ისეთ ძლიერ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, მის ინტერესებს ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციო

**„ამერიკა უფრო აგრესიული ქვეყანაა, ვიდრე რუსეთი“,** — აცხადებს საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ მიარშაიმერი. იგი ამ აგრესიას იმით ხსნის, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ამერიკა შვიდ ომში მონაწილეობდა. ჯონ მიარშაიმერი ამბობს, რომ რუსეთს სამხედრო ოპერაციები მხოლოდ საქართველოში, უკრაინასა და სირიაში აქვს ჩატარებული.

**„რუსეთმა ჩათვალა, რომ ნატოს გაფართოება და ნაბიჯები, რომლებიც საქართველომ 2008 წელს და უკრაინამ 2014 წელს გადადგეს, ამ ინტერესებს საფრთხეში აგდებდა და ამის გამო, რუსეთმა სამხედრო ინტერვენცია გადაწყვიტა“,** — განაცხადა პროფესორმა ატლანტიკური საბჭოს ღონისძიებაზე სახელწოდებით, „ნატოს გაფართოების მომავალი“.

სტატიას ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ აქვეყნებს.



ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით ხშირად ისმის საუბარი იმაზე, რომ რუსეთს ნატოს გადაწყვეტილებების მიღებაზე ვეტოს უფლება არ უნდა ჰქონდეს. ჯონ მიარშაიმერი ამბობს, რომ საკითხის ამ ფორმით დასმა არასწორი მიდგომაა: **„ის შეხედულება, რომ საქართველოს და უკრაინას ნატოში გაწევრიანების უფლება აქვთ, ძალიან საშიში და სულელური წარმოდგენაა საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპებზე. თუ ხარ უკრაინა ან საქართველო და ესაზღვრები ისეთ ძლიერ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, რუსეთის ინტერესებს ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციო. თუ ფიქრობ იმას, რომ ნატოში გაწევრიანების უფლება გაქვს იმის მიუხედავად, რას ფიქრობს რუსეთი, საკუთარ თავს დიდ პრობლემებს შეუქმნი“,** — აცხადებს პოლიტოლოგი.

ჯონ მიარშაიმერი ამბობს, რომ საქართველომ ნატოში გაწევრიანებაზე უარი უნდა თქვას და რაც შეიძლება ახლო ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან და მხოლოდ ამის შემდეგ დაუახლოვდეს დასავლეთს ეკონომიკურად.

რადიკალურად განსხვავებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინათინ ხიდაშელის შეხედულება, რომელიც აცხადებს, რომ ნატოს გაფართოებაზე საუბარი ზედმეტად „რუსოცენტრულია“. მისი თქმით, დასავლეთის ქვეყნები საკუთარ საგარეო პოლიტიკას იმაზე დაყრდნობით არ უნდა აწარმოებდნენ, თუ რა სურს რუსეთს. **„ყველაზე დიდი შეცდომა, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ, არის ის, რომ ჩვენს პოლიტიკას ვაფუძნებთ შიშზე. სანამ რუსეთის შიშით ვხელმძღვანელობთ, მსოფლიოში კარგი არაფერი მოხდება“,** — თქვა თინათინ ხიდაშელმა.

სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის აპარატის ყოფილი უფროსი სტივ ბიგანი ჯონ მიარშაიმერის მოსაზრებას პრაქტიკული გამოყენებისთვის შეუსაბამოდ აფასებს. ის ამბობს, რომ **კრემლი ცდილობს სამყარო დაარწმუნოს იმაში, რომ ნატო რუსეთს საფრთხეს უქმნის, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 70 წლის წინ ნატოს შექმნიდან დღემდე ალიანსის მხრიდან რუსეთის მიმართ მტრული ნაბიჯი არ განხორციელებულა.** სტივ ბიგანის თქმით, ნატო ევროპაში სტაბილურობის გარანტიაა და ის კონფლიქტების პრევენციას ცდილობს.

სტივ ბიგანს ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელიც ევროპაში კონფლიქტებს ხელოვნურად ქმნის, რუსეთი მიაჩნია: **„ნატოს გაფართოებამ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში სტაბილური, მშვიდობიანი, კეთილგანწყობილი სახელმწიფოები შექმნა, რომლებიც არა მხოლოდ ევროპის, არამედ რუსეთის უსაფრთხოებაშიც დიდ როლს თამაშობს.“**

სტივ ბიგანი ამბობს, რომ მოსაზრება, რომ ნატომ რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები — შეცდომაა. რამდენად ლეგიტიმურია რუსეთის ინტერესები, რა დათმობებზე წასვლას მოითხოვს მათი გათვალისწინება და სად ჯდება კრემლის ინტერესები დასავლეთის ინტერესებში, ის გასათვალისწინებელი ფაქტორებია, რომლებიც ნატოს გაფართოების მოწინააღმდეგეებს ხშირად ავიწყებათ.

პროფესორი მიარშაიმერისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს ამერიკის ევროპის სარდლობის ყოფილ მეთაურს, ოთხვარსკვლავიან გენერალ ფილიპ ბრიდლოვსაც. მისი აზრით, ნატომ რუსეთს მკაფიოდ დაანახა, რომ ალიანსი მზადაა დაიცვას საკუთარი ტერიტორია და ინტერესები. გენერალს ასევე მიაჩნია, რომ კრემლი ალიანსის ერთსულოვნებას ხედავს და მის დაძლევას ნატოში არსებული განსხვავებული მოსაზრებების ბოროტად გამოყენებით ცდილობს:

**„ბატონი პუტინის ნომერი პირველი მიზანი ნატოში არსებული ბზარების გამოყენება და ალიანსის გაყოფაა. თუ მან ამ მიზანს მიაღწია, ის სხვა ყველა მიზანს მიაღწევს,“** — განაცხადა გენერალმა ბრიდლოვმა.

იმაზე კი, არის თუ არა საქართველო ერთ-ერთი თემა, რომელიც რუსეთმა შეიძლება ალიანსის გასათიშად გამოიყენოს, ნატოს ყოფილმა მთავარსარდალმა თქვა: **„მე საქართველოს ნატოს ბზარად არასოდეს აღვწერ. საქართველოს ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ძალაა აისაფში (ნატოს მისია ავღანეთში). საქართველომ გადააჭარბა ნატოს სამხედრო მოთხოვნას ალიანსის წევრობისთვის. ისინი ყველა სიტუაციაში მსახურობენ ჩვენს გვერდით. ისინი ჩვენთან ერთად იღუპებიან და ჩვენთან ერთად სტკივათ. პოლიტიკურ ასპექტზე მე კომენტარს არ გავაკეთებ, მაგრამ საქართველოს ბზარი არ არის. საქართველო ჩვენი პარტნიორობის ბრწყინვალე წევრია“.**

ეს იდეოლოგიური დაპირისპირება მხოლოდ ვაშინგტონში არ ისმის.

ნატოს გაფართოების მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია იქნება. „ღია კარის“ მომხრეებს კი მიაჩნიათ, რომ ალიანსის გადაწყვეტილებების მიღება რუსეთის ინტერესებზე დაყრდნობით არ უნდა ხდებოდეს. ვარშავის სამიტზე ეს თემები, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ გაჟღერდება.

საქართველო ნატოსგან გაბედული ნაბიჯების გადადგმას ითხოვს. მომდევნო სამიტზე საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის მიღება ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა ექსპერტები ნატოს მხრიდან საქართველოსთან კიდევ უფრო დასაახლოებელ ნაბიჯებს ელიან.

## დედამიწის ზურგზე




### პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატოს 4 მრავალეროვნული ბატალიონი განთავსდება

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ალიანსმა გადაწყვიტა 4 მრავალეროვნული ბატალიონის გაგზავნა პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რაც აძლიერებს მათ თავდაცვას და აჩვენებს, რომ ნატო მზად არის „მოკავშირეების დასაცავად“. „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, სტილტენბერგი აცხადებს, რომ ამ ქვეყნებში საბრძოლო ბატალიონები როტაციის პრინციპით განლაგდებიან და არა მუდმივი ბაზირების საფუძველზე.

ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნები — ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და პოლონეთი შეშფოთებული არიან რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიითა და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების მხარდაჭერით. ნატოს წარმომადგენელთა თქმით, იგეგმება 4000-კაციანი ქვედანაყოფის გაშლა. აშშ-მა, ბრიტანეთმა და გერმანიამ იკისრეს ვალდებულება, იყვნენ ე.წ. „საბაზისო ქვეყნები“ ამ ბატალიონებისათვის.

### ყაზახეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააზუსტა მონაცემები აქტობში ტერორისტული აქტების მსხვერპლთა რიცხვის შესახებ

უწყების მონაცემებით, დაღუპულთა საერთო რიცხვმა 8 კაცი შეადგინა. ადრე იტყობინებოდნენ 7 მსხვერპლის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დაღუპულთა შორის არიან 3 სამხედრო მოსამსახურე და 5 სამოქალაქო პირი. დაიჭრა 7 სამხედრო მოსამსახურე და 12 პოლიციელი.

# სამხრეთ ოსეთს მოუსმენენ ჰააგაში

## საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ გადაწყვიტა, ურთიერთობა იქონიოს უღიარებელი რესპუბლიკის მოსახლეობასთან

**როგორც ჩვენი გაზეთისთვის გახდა ცნობილი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ, რომელმაც იკისრა 2008 წელს სამხრეთ ოსეთის მოვლენათა გამოკვლევა, გაააქტიურა მუშაობა დანაშაულებზე, რომლებიც შეიძლებოდა მომხდარიყო უღიარებელი რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ადრე საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ყურადღების ცენტრში იმყოფებოდნენ რუსეთი და საქართველო, სამხრეთი ოსეთი გამოკვლევაში ფაქტობრივად წარმოდგენილი არ ყოფილა. ამ ნაკლოვანებების გამოსწორებას აპირებენ სამართალდამცველები, რომლებსაც გეგმაში აქვთ შეაგროვონ ცნობები სამხრეთი ოსეთის დაზარალებული მცხოვრებლებისაგან და გადასცენ საერთაშორისო სისხლის სამართლოს თანამშრომლებს, რომელთა ვიზიტიც ცხინვალში უნდა გაიმართოს დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ.**

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წარმომადგენლები სწავლობენ სიტუაციას საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ზონაში უკვე თითქმის რვა წელიწადია. როგორც ჩვენი გაზეთი იტყობინებოდა 2015 წლის 9 ოქტომბერს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა მივიდა დასკვნამდე, რომ კონფლიქტის დროს მოხდა დანაშაულები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სასამართლოს იურისდიქციას. მაშინვე ქალბატონი ბენსუდა შუამდგომლობდა სასამართლოს წინაშე გამოკვლევის დაწყების შესახებ, მიმდინარე წლის 27 იანვარს კი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წინასწარი წარმოების პალატამ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდების თანახმად, პროკურორი აწარმოებს გამოკვლევას, ეყრდნობა ინფრასტრუქტურის ადმინისტრაციას, რომელსაც მას წარუდგენს ესა თუ ის სახელმწიფო. რუსეთის ფედერაციამაც, საქართველომაც, რომლებმაც შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების მიხედვით აღძრეს სისხლის სამართლის საქმეები, გადასცეს ქალბატონ ბენსუდას თავიანთი მასალები. ამ ქვეყნების წარმომადგენლებს პროკურორი შეხვდა პირადად. როგორც ჩვენი გაზეთისთვის გახდა ცნობილი, ამჟამად საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტრუქტურებს გათვალისწინებული აქვთ გაააქტიურონ მუშაობა სამხრეთ ოსეთში, მათ შორის დაიწყონ საჩივრების შეგროვება ადგილობრივი მოსახლეობისგან.

„პროკურორმა შეაგროვა ყველაფერი, რაც ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ სამხრეთი ოსეთი რჩებოდა თეთრ ლაქად მთელი რიგი მიზეზებისა გამო“, — უამბო ჩვენს გაზეთს სამართალდაცვის ორგანიზაცია „სამართლებრივი ინიციატივის“ იურისტმა გრიგოლ ავეტისიანმა. როგორც იურისტმა განმარტა, ორგანიზაცია დახმარებას უწევდა სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლებს სარჩელების შეტანაში სტრასბურგის სასამართლოში, იქიდან კი საჩივრების ასლები გადაეცემოდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.



# „მუშაობა წინაპრების სიყვარულით დავიწყე და, ჩემდა საუბედუროდ, შვილის სიყვარულით დავასრულე“

*22 ივნისს, 18:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება წარდგინება ფოტოალბომისა „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“.*

*ალბომში შესულია ექსკლუზიური მასალა მდიდარი საოჯახო არქივიდან, რომელიც მოიცავს 6 თაობის ფოტოებს, წერილებს, ღია ბარათებს, მოსაწვევებსა და სხვა.*



*მათ უმრავლესობას პირველად გაეცნობა დაინტერესებული მკითხველი.*

*პროექტის ავტორია დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი — თამარ მიქაძე; შემდგენლები — თამარ მიქაძე, სოფიო ისაკაძე.*

*რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე; დიზაინერი — ციცი ბოდოკია; დამკაბადონებელი — იოსებ კაპანაძე; ალბომი გამოსცა „სპეკალმა“ და დაისტამბა „დამანში“.*

*ჩვენ ვესაუბრეთ ფოტოალბომის „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“ პროექტის ავტორს, ქალბატონ თამარ მიქაძეს.*

**— როგორ მომზადდა გამოსაცემად ალბომი „დიმიტრი ყიფიანი და შთამომავალნი“?**

— ყველა წიგნს თავისი ისტორია აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულად რთული და შრომატევადი სამუშაო იყო ჩასატარებელი: ძველი ხელნაწერი ტექსტების წაკითხვა, თარგმნა, შედგენა... წლები დასჭირდა ამ ყველაფერს.

**— რა მასალები შევიდა ალბომში?**

— ალბომში შესულია 6 თაობის ექსკლუზიური მასალა საოჯახო არქივიდან. აქ არის წერილები როგორც ოჯახის წევრების, ისე, საზოგადო მოღვაწეების. ასევე, ღია ბარათები, რომელიც რუსული, ფრანგული, იტალიური, გერმანული და ინგლისური ენიდან ითარგმნა. დიმიტრის შთამომავლები ხომ ხშირად სტუმრობდნენ საზღვარგარეთს, იქ სწავლობდნენ, მუშაობდნენ, რიგ შემთხვევაში, ცხოვრობდნენ რეპრესიების დროს. ალბომში შესულია მოსაწვევები, ნივთების ფოტოები და ბევრი სხვა რამ. ამ მასალას დავურთეთ შთამომავლების ბიოგრაფიები და ფოტოქრონიკა, რომელიც დიმიტრის სახელთან დაკავშირებულ ბოლო 25 წლის ისტორიას ასახავს.

**— დღეს, როცა ხარისხიანი წიგნის გამოცემა საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება, ვინ დაგეხმარათ ალბომის გამოცემაში?**

— თავიდანვე მქონდა ჩაფიქრებული, მაღალი დონის გამოცემა ყოფილიყო, რადგან აქ ბევრი ფოტომასალა, ხელნაწერი თუ სხვა რამ არის წარმოდგენილი თვალსაჩინოებისთვის. მინდა მადლობა მოვახსენო ახალგაზრდებს,





რომლებმაც ჩემთან ერთად უანგაროდ იმუშავეს გამოცემაზე: იოსებ კაპანაძეს, ციცი ბოდოკიას, სოფიო ისაკაძეს. გამოცემის რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, მთავარი ფინანსური მხარდამჭერი საქველმოქმედო ფონდი „სარაჯიშვილი“.

**— რით გასხვავდება ეს წიგნი რამდენიმე წლის წინათ გამოცემული ალბომისგან?**

— 2010 წელს გამოცემული ფოტოალბომი „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“, ძირითადად, დიდი პიროვნების ცხოვრების გზას ასახავს, თან მასში გამოყენებულია საოჯახოსთან ერთად, მასალები სხვადასხვა მუზეუმიდან. რაც შეეხება ამ წიგნ-ალბომს, აქ მხოლოდ საოჯახო არქივს ვეყრდნობით და მოიცავს დიდ მონაკვეთს წმინდა დიმიტრიდან დღემდე რვა თაობის ჩათვლით.

**— რატომ არის მნიშვნელოვანი ამ წიგნის გამოცემა?**

— ვფიქრობ, ამ წიგნის გამოცემა მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი. იმისთვის, რომ სათანადო პატივი მივაგოთ წინაპრებს, გადმოვცეთ მათი ღვაწლი, დავანახვოთ, ახალგაზრდებს როგორი სამაგალითო ოჯახები გვყავდა. ასეთი პიროვნებების არსებობით მოვედით დღემდე... ისე, რომ ისტორიული, ლიტერატურული, ფსიქოლოგიური თუ ინტელექტუალური თვალსაზრისითაც საინტერესოა.

**— შარშან ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის მუზეუმის აღდგენა ხმაურით და დიდი ენთუზიაზმით დაიწყო, მაგრამ დღემდე საშველი არ დაადგა ამ საქმეს, სათანადო სახსრები ვერ გამოიძებნა... სახლ-მუზეუმი ინგრევა. თქვენ თუ ხართ საქმის კურსში და რატომ ჭიანურდება ეს საქმე?**

— ეს კითხვა ცალკე საუბრის თემაა და არ მინდა, წინასაპრეზენტაციო განწყობა გავიფუჭო. ახლო მომავალში ვისაუბრებ სახლ-მუზეუმის მეტად სავალალო მდგომარეობაზე, ამის მიზეზსა თუ გამოსავალზე.




**— სასიხარულო ამბავი გავიგეთ, თბილისში დიმიტრი ყიფიანის ძეგლი დაიდგმება... სად არის დაგეგმილი ამ ძეგლის დადგმა და თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ალბათ კონკურსი გამოცხადდება ძეგლის ესკიზის შესაქმნელად?**

— ორი წლის წინათ შევიტანეთ განცხადება ამის თაობაზე და დადებითი პასუხი ახლახან მივიღეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამ საქმეში ჩვენთან ერთად დეკანოზი მალხაზ ყიფიანი და ალექსანდრე ყიფიანი იყვნენ. შესაბამისი ადგილის შერჩევა ცოტა გაჭირდა, იდეა ჩემმა მეუღლემ სულხან ისაკაძემ მოგვაწოდა. ვფიქრობ, ვერის ბაღი, მართლაც რომ, მყუდრო და შესაფერისი ადგილია. ასე რომ, მთელი ოჯახი ჩაბმული ვართ ამ საქმეში. სავარაუდოდ, ძეგლის ესკიზის შესაქმნელად ტენდერი გამოცხადდება. ერთსაც ვიტყვი, თუ შეიძლება... მუშაობა წინაპრების სიყვარულით დავიწყე და, ჩემდა საუბედუროდ, შვილის სიყვარულით დავასრულე. სწორედ მას ვუძღვნი ალბომს — ნიკოლოზ ისაკაძეს, ჩემს ყველაზე დიდ სიყვარულსა და ტკივილს.

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**

---

საერთაშორისო იურისტის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ინსტიტუტის დოცენტის კირა საზონოვას აზრით, ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სპეციალისტები დაინტერესდნენ სამხრეთი ოსეთის სამოქალაქო მოსახლეობის ჩვენებებით, მეტად მნიშვნელოვანია. „ეს საშუალებას მოგვცემს, მივიღოთ უფრო სრული სურათი. ამას გარდა, 2008 წელს რუსეთის ფედერაციაში მოამზადეს დოკუმენტების კრებული „ოსეთის ტრაგედია. სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ დანაშაულებათა თეთრი წიგნი. 2008 წლის აგვისტო“, სადაც ასევე შეკრებილი იყო ღირებული ცნობები“, — უთხრა მან ჩვენს რედაქციას. ქალბატონ საზონოვას აზრით, ეს გამოკვლევა გვპირდება, იყოს გახმაურებული კიდევ იმიტომ, რომ აუცილებლად შეეხება საკითხს სამხრეთი ოსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

საქართველოში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განზრახვებისადმი სკეპტიკურად არიან განწყობილი. საქართველოდან ეუთოს მონიტორინგული კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ელენე თევდორაძემ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ „რამდენიმე წლით დაიგვიანა 2008 წლის მოვლენებზე რეაქციასთან დაკავშირებით“. იგი დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გამოკვლევა სამხრეთ ოსეთში „ძნელად რომ დამთავრდეს რაიმე ბრალდების წამოყენებით მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ“. ქალბატონ ელენეს აზრით, „სრულიად ცხადია, რომ ეს იყო მასშტაბური პროვოკაცია, რომელსაც აჰყვა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება“. ამავე დროს წყარომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, როდესაც კომენტარს უკეთებდა ინფორმაციას სამხრეთ ოსეთში მიმდინარე გამოკვლევების შესახებ, ჩვენს გაზეთს აცნობა, რომ პროკურორმა ბენსუდამ „მიიღო ამომწურავი ინფორმაცია დაღუპული სამხედრო მოსამსახურეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ საქართველოს მხრიდან“. სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებამ, აღნიშნა ჩვენმა თანამოსაუბრემ, ჯერ კიდევ „პროვოკაციის დაწყებამდე მოახდინა მთელი მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია“. მისი სიტყვებით, თითქოს 164 დაღუპულ ოსთა შორის, როგორც მინიმუმი, 162 არ ყოფილა მშვიდობიანი მცხოვრები, არამედ ირიცხებოდა შეიარაღებულ ფორმირებებში.

**Коммерсантъ**

## დედამიწის ზურგზე

### საფრანგეთში დაადასტურეს გადაწყვეტილება, მოახდინონ რუსი გულშემატკივრების ჯგუფის დეპორტირება, იტყობინება პრესა

**ადრე, სამშაბათს სრულიად რუსეთის გულშემატკივართა გაერთიანების ხელმძღვანელმა ალექსანდრ შპრიგინმა სააგენტო „რ-სპორტს“ განუცხადა, რომ საფრანგეთის პოლიციამ განაცხადა ყველა 50 რუსი გულშემატკივრის დეპორტაციის შესახებ, რომლებიც იმყოფებოდნენ სრულიად რუსეთის გულშემატკივართა გაერთიანების ავტობუსში ლილისკენ მიმავალ გზაზე რუსეთისა და სლოვაკეთის ნაკრები გუნდების მატჩზე ევროპის ჩემპიონატში.**

### ისლამურმა სახელმწიფომ იკისრა პასუხისმგებლობა პოლიციელისა და მისი ცოლის მკვლელობისათვის პარიზის მახლობლად

**ტერორისტმა ყელი გამოჭრა მაღალი რანგის პოლიციელს მისი სახლის წინ, შემდეგ კი ტყვედ აიყვანა მოკლულის ოჯახი. ბოევიკი დახვრიტეს საფრანგეთის სპეციალური დანიშნულების ოპერაციის დროს.**

### პუტინის გადაწყვეტილებით, შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის მოულოდნელი შემოწმება დაიწყო

**რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქვეყნის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის მოულოდნელი შემოწმება დაიწყო. აღნიშნული განცხადება რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ სელექტორულ სხდომაზე გააკეთა.**



**შემოწმება რუსეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და მობილიზაციის შესამოწმებლად ტარდება და ის 22 ივნისამდე გაგრძელდება.**

**„განსაკუთრებული ყურადღება ოპერატიული ძალების შემოწმებას დაეთმობა“, — განაცხადა სერგეი შოიგუმ.**

**ცნობისთვის, რუსეთში ბოლო წლების მანძლზე საბრძოლო მზადყოფნის მოულოდნელი შემოწმება რეგულარულად ტარდება. მარტში ამგვარი სწავლება რუსეთის საჰაერო-სადესანტო ძალებში ჩატარდა. მასში მონაწილეობა 30 ათასმა ადამიანმა მიიღო.**

### საბავშვო მოედანზე დაუდგენელმა პირმა მოზარდებს ცეცხლი გაუხსნა

**ნიუ-იორკში, ბრუკლინში მდებარე საბავშვო მოედანზე, დაუდგენელმა პირმა შეკრებილ მოზარდებს ცეცხლი გაუხსნა, შემდეგ კი ადგილიდან მიიმალა. შემთხვევის შედეგად, დაიჭრა 6 მოზარდი, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.**



**გამოცემა New York Post-ის ინფორმაციით, დაშავებული მოზარდები 15-17 წლის არიან.**

**მომხდარის მიზეზები ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის, თუმცა, როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ერთ-ერთმა მოზარდმა ძვირადღირებული ზურგჩანთა დაკარგა და დასახმარებლად მეგობარს დაუძახა, რომელმაც ადგილზე მყოფ მოზარდებს ცეცხლი გაუხსნა.**

### გერმანიაში დევნილთა თავშესაფარი დაცხრილეს

**გერმანიაში, ქალაქ ლინგენში არსებული დევნილთა თავშესაფარი დაცხრილეს. აღნიშნულ ინფორმაციას სააგენტო Reuters ავრცელებს. ბანაკის მცხოვრებლებმა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები მიიღეს და ისინი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**გერმანიის სამართალდამცავთა განცხადებით, სავარაუდო ეჭვმიტანილად 21 წლის გერმანელია მიჩნეული, რომლის ბინიდანაც ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს. მომხდარის მიზეზი ამ დროისთვის უცნობია. პოლიციას ეჭვმიტანილი არ დაუკავებია, თუმცა, მედიის ცნობით, მას ბრალდებას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით წაუყენებენ.**

### ევრო – 2016

# ეს სიკვდილის ჯგუფია!



**რამდენჯერ ყოფილა, როცა გაცემული ავანსები არ გამართლებულა, მაგრამ ამჯერად, ეტყობა, „ევრო – 2016“-ის ფინალური რაუნდის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრის შემდეგ გამოთქმული პროგნოზები ჭეშმარიტებას შეესაბამება: E ჯგუფი მართლაც სიკვდილის ჯგუფია.**

**ირლანდია – შვედეთი 1:1,**

**ბელგია – იტალია 0:2.**

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბელგიელები შემტევი ფეხბურთითა და შესაშური შედეგიანობით გამოირჩეოდნენ, რამაც ბევრს ათქმევინა: მარკ ვილმოტსის გუნდი არამარტო აღნიშნული კვარტეტის, არამედ მთლიანად ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტიაო.

მათ რატომღაც დაავიწყდათ, რომ „სკუადრა აძურა“, თუნდაც შესუსტებული შემადგენლობით, ყოველთვის და ყველასათვის ანგარიშგასაწევი მეტოქეა, მით უმეტეს მაშინ, როცა კარს ბუფონი და „იუვენტუსის“ გაუვალი უკანა ხაზი იცავს, რომელმაც ტრიუმფით დაასრულა აპენინური საკლუბო სეზონი. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ტრავმირებული მარკიზიოსა და ვერატის არყოფნაში თვითდამკვიდრების დამატებითი შანსი მიეცათ ანტონიო კონტეს ახალ რჩეულებს, მოტივაცია კი, დაგვეთანხმებით, ხშირად ისეთი მეკავშირეა, მნიშვნელოვანწილად რომ განსაზღვრავს ბრძოლის ბედს.

რაც შეეხება დღის პირველ შეხვედრას, როგორც ბრიტანელებმა, ისე სკანდინავიელებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ წინსვლისთვის საფუძვლიანი ამბიციები გააჩნიათ. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ საფრანგეთში მიმდინარე ფორუმის ფორმატი ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივას მესამეადგილოსანიც კი ინარჩუნებს. ასე რომ, წინ არანაკლებ მძაფრი ჯახებია.

**გიორგი შოთაძე**

### ჭადრაკი

# ვეტერანებში ორი ჩემპიონი გვყავს



**ერევანში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი. 65 წელს გადაცილებულებში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა ცხრა შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე ლუბა კუზნეცოვა (რუსეთი, 5.5) და თამარ ხმიადაშვილი (საქართველო, 5) გავიდნენ. მამაკაცებში 6.5-6.5 ქულით პირველი-მესამე ადგილები ვალენტინ ბოგდანოვმა (უკრაინა), ვიქტორ კუპრეიჩიკმა (ბელარუსი) და ბენტ სორენსენმა (დანია) გაინაწილეს.**



50 წელს გადაცილებულებში 7 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა თბილისელი დიდოსტატი ზურაბ სტურუა. 6.5 ქულით მეორე ადგილზე ასევე თბილისელი დიდოსტატი გიორგი ბაღათუროვი გავიდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით სომეხი რაფაელ ვაჰანიანი მესამე ადგილს დაყაბულდა. ქალებში კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. გალინა სტრუტინსკაია (რუსეთი, 5), 2. ციალა ქასოშვილი (საქართველო, 5), 3. სვეტლანა მედნიკოვა (რუსეთი, 4.5).

**ლექსო ცინცაძე**

### ჩოგბურთი

# კარიერაში საუკეთესო



**წინა კვირას 25 წლის თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ ჰოლანდიაში ყაზახ იაროსლავა შვედოვასთან ერთად ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) წყვილთა პაექრობა მოიგო და 280 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა, რითაც მსოფლიო კლასიფიკაციაში რვა ადგილით დაწინაურდა და 43-ე საფეხურამდე აღზევდა.** ეს კარიერაში მისი საუკეთესო მიღწევაა. ჩოგბურთელთა განახლებულ მსოფლიო კლასიფიკაციაში ქართველთა მაჩვენებლები ასეთია:

**ქალები**

**ერთეულები.** 234 (229). სოფიო შაფათავა (223), 320 (319). ეკატერინე გორგოძე (124), 460 (460). სოფიო ქვაცაბაია (67), 492 (491). მარიამ ბოლქვაძე (57), 762 (758). ოქსანა კალაშნიკოვა (20), 764 (760). თინათინ ყავლაშვილი (20), 949 (975). ანა შანიძე (11), 1213 (1160). თამარ ჭალაგანიძე (4).

**წყვილები.** 43 (51). კალაშნიკოვა (1805), 141 (143). შაფათავა (501), 243 (246). გორგოძე (252), 435 (461). ქვაცაბაია (109), 651 (654). ბოლქვაძე (47), 770 (775). ყავლაშვილი (30), 908 (917). შანიძე (20), 1067 (1059). ანა ახალკაცი (12), 1240 (1239). ჭალაგანიძე (5).

**ვაჟები**

**ერთეულები.** 101 (101). ნიკოლოზ ბასილაშვილი (563), 284 (264). ალექსანდრე მეტრეველი (175), 899 (905). გიორგი ცივაძე (17), 1297 (1291). გიორგი ჯავახიშვილი (5), 1531 (1413). ალექსანდრე ბაქში (2), 1723 (1837). ირაკლი მეტრეველი (1).

**წყვილები.** 231 (279). ა. მეტრეველი (292), 923 (934). ცივაძე (36), 940 (949). ბასილაშვილი (34), 1154 (998). ჯავახიშვილი (20), 1506 (1523). ბაქში (1), 1506 (1523). ნოდარ ითონიშვილი (1), 1506 (1567). დავით კვერნაძე (1), 1506 (1567). შოთა მეფარიძე (1 ქულა).

**ლაშა დიდია**

### წყალბურთი

# თბილისის თასი ყაზახებს ხვდა

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დამთავრდა წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი თბილისის თასზე. შეჯიბრებაში ყაზახეთის, ირანისა და მასპინძელთა ორი გუნდი მონაწილეობდა. ერთი იყო 19-წლამდელთა ნაკრები (რაზმაძე, შავშიშვილი, ღავთაძე, იმნაიშვილი, ადეიშვილი, ბითაძე, ფურცელაძე, წულუკიანი, მესხი, მაგრაქველიძე, შუშიაშვილი, ცხაკაია, ბარაბაძე, მთავარი მწვრთნელი ტუკვაძე), რომელმაც ამას წინათ თბილისში ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირი მოიგო და სექტემბერში ფინალურ რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. რაც შეეხება ეროვნულ გუნდს (შუბლაძე, ქავთარაძე, ცრეპულია, კახეთელიძე, რუსიშვილი, ჩიქვინიძე, ხვედელიანი, ბაღათურია, რურუა, გეგელაშვილი, ჯახაია, ჩიკვაიძე, კაპანაძე, მთავარი მწვრთნელი პოპოვიჩი), მან შესუსტებული შემადგენლობით იასპარეზა.**



შეჯიბრების პირველ დღეს ყაზახებმა მასპინძელთა ახალგაზრდული ნაკრები დაჯაბნეს – 13:5 (3:2, 3:2, 5:1, 2:0), საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა კი ირანელთა იმედებს თავიდანვე გადაავლო ცივი შხაპი: პირველი პერიოდი 6:1 მოიგო, საბოლოოდ კი დიდი ანგარიშით გაიმარჯვა – 19:6 (6:1, 4:1, 4:1, 5:3). მეორე ტურში ირანელი წყალბურთელები საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმაც დაამარცხა 11:10 (3:3, 3:2, 2:3, 3:2). მთავარი პრიზის ბედი საქართველო-ყაზახეთის დაპირისპირებაში გადაწყდა. ანგარიში პირველსავე წუთზე უკუმანოვმა გახსნა, მაგრამ ბაღათურიამ მალევე აღადგინა წონასწორობა. შოთამ შემდეგ კიდევ ხუთჯერ აილო მეტოქის კარი, მაგრამ თანაგუნდელები მარცხისგან მაინც ვერ იხსნა - 10:11 (2:4, 5:3, 1:2, 2:2). ყაზახებმა ბოლო ტურში ირანელებს მოუგეს - 11:4 (2:1, 4:1, 3:1, 2:1) და პირველი ადგილი დაიკავეს. საქართველოს პირველმა ნაკრებმა ახალგაზრდებს სძლია – 22:5 (5:1, 4:1, 7:0, 6:3) და მეორე ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი გელა ტუკვაძის შეგირდებს, მეოთხე კი ირანელებს ერგოთ.

**გივი გაგუა**

### კალათბურთი

# ორნი ტახტზე



**ნბა-ს ხანგრძლივ ისტორიაში 32-ჯერ მოხდა ისეთი ფაქტი, როცა ფინალურ პლეი-ოფში ერთ-ერთი გუნდი სერიაში 3:1 დაწინაურდა, მაგრამ მეტოქემ ერთხელაც ვერ შეძლო ჩამორჩენის აღმოფხვრა და ტიტულის მოპოვება. ამჯერად ნავსის გატეხვას „კლივლენდი“ ცდილობს, რომელმაც მოქმედ ჩემპიონ „გოლდენ სტეიტს“ მეხუთე მატჩი სტუმრად მოუგო – 112:97 და საერთო ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა – 2:3.**

მასპინძელთა ფიასკო ძირითადი ცენტრის ბოგუტის ტრავმამ და მთავარი დამრტყმელი ძალის გრინის დისკვალიფიკაციამაც განაპირობა, თუმცა, ნურც გუნდის ლიდერის კარის მიერ ჩაფლავებულ მეორე ტაიმს გამოვრიცხავთ, რომელმაც 11-დან მხოლოდ 3 სამქულიანი ჩააგდო და მისთვის ერთობ „მჭლე“ პირადი მონაგრით – 26 ქულით პარტნიორ ტომპსონსაც კი ჩამორჩა – 35 ქულა.

და ეს მაშინ, როცა „კავალერიის“ გიგანტებმა – „მეფე“ ჯეიმსმა და ირვინგმა 41-41(!) ქულას მოუყარეს თავი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

### რეტრო

# პანკისელი ფალავანი

**1967 წლის ოქტომბერში ახმეტის კულტურის სახლში სამი დღე ისმოდა ზურნისა და დოლის ხმა. საქართველოს ფალავნის სახელის მოსაპოვებლად იქ 16 ათლეტი იბრძოდა. ფალავანი გახდა ახმეტელი ბუღდან ბალაკაშვილი, მეორე იყო კასპელი აკაკი მალაციძე, მესამე – ცხინვალელი ლეონიდ გასიევი.**

საქართველოს ფალავნობაზე ბუღდანი 1963 და 1964 წლებში შესაბამისად მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდა, 1965-1966 და 1968 წლებში კი საერთოდ არ ჩატარებულა ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის ცენტრში მოწყობილ ნახერხმოყრილ სარბიელზე ჭაბუკი ბუღდან ბალაკაშვილის ჭიდაობის პირველი მასწავლებელი იყო ლაბაზ ქავთარაშვილი.

დუისი ქისტებით დასახლებული ყველაზე დიდი სოფელია პანკისის ხეობაში. ქართველებსა და კავკასიის მკვიდრ ქისტებს (ვაინახებს) შორის მჭიდრო ურთიერთობა უძველესი დროიდან იწყება (ვაინახი ჩეჩენთა და ინგუშთა საერთო სახელწოდებაა და ნიშნავს ჩვენს სახლს).

ქართველებისა და ქისტების მეგობრობის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ახმეტელი მოჭიდავეების – ანზორ ქიბროწაშვილისა და ბუღდან ბალაკაშვილის ურთიერთობა. ისინი ხომ ძმადნაფიცები იყვნენ.

გორში დღესაც იხსენებენ, როგორ დაესხა თავს ათიოდე მოხულიგნო ახალგაზრდა ანზორ ქიბროწაშვილსა და ბუღდან ბალაკაშვილს და როგორ პანტაპუნტით ისროდნენ აქეთ-იქით მომხდურებს ძმადნაფიცები.

სხვათა შორის, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს ძიუდოში ანზორ ქიბროწაშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, ის ვერაფრით გახდა საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში, ბუღდანის ფალავნობით კი თვითონაც ამაყობდა.

ახმეტელი მეგობრები – ბუღდან ბალაკაშვილი და ანზორ ქიბროწაშვილი ერთად სწავლობდნენ წინამძღვრიანთკარის (მცხეთა) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ჰყავდათ ერთი მწვრთნელი – სახელგანთქმული გურამ პაპიტაშვილი.

გორის საჭიდაო სკოლის ტრიუმფიც სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ბუღდან ბალაკაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი, როინ მაღალთაძე და მათი მეგობრები საერთაშორისო სარბიელზე გამოჩნდნენ.



გურამ პაპიტაშვილის კიდევ ერთი მოწაფის დურმიშხან ბერუაშვილისა და ბუღდან ბალაკაშვილის შერკინებების დროს საჭიდაო ჩოხები ვერ უძლებდნენ დაძაბულობას და ზოგჯერ ერთ შეხვედრაში 2-3 ჩოხა იხეოდა...

1961 და 1965 წლებში ბუღდან ბალაკაშვილი საბჭოთა კავშირის ორგზის ვიცე-ჩემპიონი გახდა სამბოში, 1964 წელს კი სსრკ პროფკავშირთა ჩემპიონობა მოიპოვა. მეოცე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ის საკავშირო ნაკრების წევრი იყო ძიუდოში.

1966 წლის 16 ივნისი ბუღდან ბალაკაშვილისა და არამარტო მისთვის განსაკუთრებით ტრაგიკულ დღედ იქცა. იმ დღეს მოსკოვში ერთობ საეჭვო ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი შესანიშნავი ახმეტელი მოჭიდავეები ფარნაოზ ჩიკვილაძე და ნოდარ ყაჩმაზაშვილი. არადა ფარნაოზი, ნოდარი და მესამე ახმეტელი – ბუღდან ბალაკაშვილი პრაღაში საერთაშორისო შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვში ბუღდანის მეუღლე – ქალბატონი მაყვალა მარგოშვილი ჩავიდა. ფარნაოზმა და ნოდარმა იმ ავბედით დღეს ვარჯიშის შემდეგ მოსკოვის ცენტრალურ მაგისტრალზე გასეირნება მოიწადინეს, ბუღდანი კი მეუღლესთან დატოვეს. ბიჭები წავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან.

ობლობაში გაზრდილი ცისფერთვალება ქისტი ფალავანი ბუღდან ბალაკაშვილი (1939-2001) კარიერის დასრულების შემდეგ დუისის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად, პანკისის მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ და მოგვიანებით დირექტორად მუშაობდა.

საოცრად ლამაზი გამოსვლა იცოდა ბუღდანმა ხალიჩაზე. ცირკში რომ ქომაგები შესვენებაზე გარეთ გავიდოდნენ და დიქტორი ბალაკაშვილის გვარს გამოაცხადებდა, ყველანი უკან ტრიბუნისკენ გამორბოდნენ, ორი გულშემატკივარი კი ერთთავად სულ თან დაჰყვებოდა: ბიძამისი – მახამა ბალაკაშვილი და სოფელ ჯოყოლოს მკვიდრი – უსუპ ბორჩაშვილი. ერთხელ, როდესაც მორიგი მეტოქე ბეჭებზე დასცა და შუამავალ მსაჯს მარჯვენა ხელი უნდა აეწია გამარჯვების ნიშნად ბუღდან ბალაკაშვილისთვის – ყვირილი გაისმა: არ არის! არ წაუქცევია! გააგრძელეთ! ჭიდაობა მაყურებინეთო, – იხვეწებოდა ბუღდანის ქომაგი – უსუპ ბორჩაშვილი...

**გაბრიელ ბარჯაძე**

◎ ისტორიის ნამცვრევები

# სასიკვდილოდ მიმავალნი მოგესალმებათ!

**ვის არ გვინახავს ჰოლივუდის ბლოკბასტერები „სპარტაკი“ და „გლადიატორი“: არენის ყვითელი ქვიშა, სისხლით დალაქავებული კუშტი ათლეტები, რომელთაც ხელში ხმლები — გლადიუსები ჩაუბღუჯავთ, შეძახილით მიესალმებიან რომის იმპერატორს: „Ave, Caesar, mopituri te salutant!“ („დიდება კეისარს, სასიკვდილოდ მიმავალნი მოგესალმებით შენ!“). ასეთებად წარმოგვიდგებიან გლადიატორები, რომლებიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდნენ ერთმანეთს კოლიზეუმის არენაზე რომის მოქალაქეთა გასართობად, მაგრამ როგორ იყო სინამდვილეში?**

გლადიატორთა უმრავლესობა, სანამ სპეციალურ სკოლაში მოხვდებოდა, მონა ან სამხედრო ტყვე იყო, ხანდახან ამ სკოლებში აგზავნიდნენ სიკვდილმისჯილ ბოროტმოქმედებსაც. ამას გარდა ნებისმიერ მონათმფლობელს შეეძლო, გლადიატორთა სკოლაში გაეგზავნა თავისი ჭირვეული მონა. თუ ასეთი გლადიატორი-დამნაშავე სამი წლის განმავლობაში ცოცხალი გადარჩებოდა, მას არენაზე ბრძოლებისგან ათავისუფლებდნენ, ოღონდ ვალდებული იყო, კიდევ ორი წელი დაეყო სკოლაში, რის შემდეგაც სრულ თავისუფლებას იღებდა.

თუმცა არენაზე მებრძოლთა შორის იყვნენ... თავისუფალი ადამიანებიც, რომლებიც საკუთარი ნებით იქცნენ გლადიატორებად. თანაც არა მხოლოდ რომაელი პლებეების რიცხვიდან, რომლებიც მუქთა საჭმელს და საკმაოდ კარგ ანაზღაურებას დაეხარბნენ, პატრიციებიც! ძვ.წ.აღ. 38 წელს კანონიც კი მიიღეს, რომელიც კრძალავდა მხედრებისა და სენატორთა არენაზე გლადიატორად გამოსვლას. მაგრამ ეს კანონი საყოველთაოდ ირღვეოდა და იმპერატორმა ტიბერიუსმა ბრძანა, რომიდან გაეძევებინათ რამდენიმე ათეული უმაღლესი წოდების ახალგაზრდა, რომლებიც ხალხის გასართობად არენაზე იბრძოდნენ.

რომაელი ისტორიკოსი ტერტულიანი წერს: „რამდენ უსაქმურს აღუძრა სახელის ძიებამ სურვილი, გლადიატორობისთვის მოეკიდა ხელი! ზოგიერთი პატივმოყვარეობის გამო მხეცებთან ბრძოლებშიც კი მონაწილეობს და მიიჩნევს, რომ ბრჭყალებისა და კბილებისგან მიყენებული იარები მიმზიდველობას სძენს“.

გამოჩენილი ფილოსოფოსისა და სარდლის მარკუს ავრელიუსის მემკვიდრე იმპერატორი კომოდუსი, ამერიკული ფილმის „გლადიატორის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, მართლაც აღმერთებდა არენაზე გამოსვლას. მონაწილეობდა ლომის ტყავით მორთული (მითიური ჰერაკლეს მიბაძვით). მართალია, კინოგმირისგან განსხვავებით გვირგვინოსანი გლადიატორი ქვეყანას მართავდა არა რამდენიმე თვე, არამედ 12 წელი და დაიღუპა არა არენაზე, არამედ შეთქმულების შედეგად.

მაინც ვინ იყვნენ გლადიატორები — მონები თუ მაშინდელი შოუების ვარსკვლავები? ალბათ უფრო მეორენი. მათი შედარება შეიძლება დღევანდელ პროფესიონალ სპორტსმენებთან. ცნობილი ოჯახის შვილი ჭაბუკები მათ ალტაცებით შეჰყურებდნენ და სამარცხვინოდ სულაც არ თვლიდნენ ყოფილი მონებისგან ფარიკაობის სწავლას. ქალები კი...ისინი გიჟდებოდნენ გამოჩენილ გლადიატორებზე. თანაც ვნებას აყოლილი იყვნენ არა უმწიფარი ქალიშვილები, არამედ სრულიად ასაკოვანი მატრონებიც. ამბობენ, რომ რომის იმპერატორის, ფილოსოფოს მარკუს ავრელიუსის მეუღლეს ფაუსტინას საყვარლად გლადიატორი ჰყავდა და მისგან ვაჟიც — მომავალი იმპერატორი კომოდუსიც კი გააჩინა, რითიც შეიძლება აიხსნას ამ ხელისუფალის არენისკენ სწრაფვა.

ლეგენდარული რომაელი გლადიატორები სიცოცხლეს წირავდნენ, რათა მაყურებლები ცირკიდან კარგი განწყობით წასულიყვნენ. რომის იმპერიისთვის სისხლიანი სანახაობა ნარკოტიკების მსგავსი იყო. ეს ეტრუსკული წესჩვეულება რომაელთა ცხოვრებაში საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის შედეგად დამკვიდრდა. ამის მიზეზი შესაძლოა, ისიც გახდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ბევრს შრომობდა და ბევრსაც ომობდა, გასართობად კი ცხენოსნობას ან თეატრალურ წარმოდგენებს ამჯობინებდა. გლადიატორთა ბრძოლამ სახალხო წარმოდგენის სახე ოფიციალურად მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 105 წელს მიიღო.



ლომისტყაოსანი იმპერატორი და გლადიატორი კომოდუსი

რომაელ არისტოკრატთა შორის თანდათან მოდაში შემოვიდა საკუთარი გლადიატორების ყოლა, რომლებსაც პატრონებისთვის არა მარტო შემოსავალი მოჰქონდათ, არამედ პირადი დაცვის ფუნქციასაც ასრულებდნენ, ამ მხრივ ყველას იულიუს კეისარმა აჯობა, რომელსაც ერთ დროს 2 ათასი გლადიატორი ჰყავდა.

თითქმის ყველა რომაელი იმპერატორი თამაშების გრანდიოზულობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა, რითაც ხალხის სიყვარულის მოპოვებას ცდილობდა, იმპერატორმა ტიტუსმა კოლიზეუმის გახსნისას იმ 17 ათასი ებრაელის მოკვლა ბრძანა, რომლებიც ამ გიგანტური ნაგებობის მშენებლობაში მონაწილეობდა, ხოლო არაერთგზის ნახსენებმა იმპერატორმა კომოდუსმა გლადიატორების სკოლა თავადაც გაიარა (იმპერატორის მონაწილეობით გამართული ყველა ბრძოლა მისი გამარჯვებით მთავრდებოდა).

სისხლიან ორგიებს საბოლოო წერტილი დაუსვა ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომლის პირველი მიმდევრებიც არენაზე ცხოველების ლუკმად იქცნენ. 404 წელს ქრისტიანი ბერი ტელემაქი გლადიატორთა ბრძოლაში ჩაერია და საკუთარი სიცოცხლის ფასად მისი შეჩერება შეძლო. ეს ინციდენტი უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა ქრისტიანი იმპერატორისთვის და გლადიატორთა ბრძოლა აკრძალა.



გლადიატორთა ბრძოლის ამსახველი ფრესკები

ახლა იმაზე, თუ რამდენად სახიფათო იყო გლადიატორის პროფესია. ბოლოდროინდელი გამოკვლევები გვამცნობენ, რომ ის არაფრით უფრო სახიფათო არ იყო, ვიდრე დღევანდელი „ფორმულა 1“-ის მრბოლის ან სამრეწველო ალპინისტისა. როგორც ფრანგმა მეცნიერმა ვილემმა გამოთვალა, არენაზე ცოცხლად გადარჩენის შანსი პროფესიონალ გლადიატორს დაახლოებით 9:1 ჰქონდა. დაჭრილი და დამარცხებული გლადიატორიც კი ხუთი შემთხვევიდან ოთხში ცოცხალი რჩებოდა და გამარჯვებული ბოლოს არ უღებდა სისხლის მწყურვალი ბრბოს საამებლად. ეს გასაგებია: ბრძოლის ორგანიზატორებს არ სურდათ ორფეხა ქონებაში დაბანდებული ფულის დაკარგვა.

გლადიატორს, რომელიც თავს გამოიჩენდა იარაღის ფლობის უნარით, სიმამაცითა და შეუპოვრობით, მაყურებლის მოთხოვნით თავისუფლების მიღების შანსი ჰქონდა, თავისუფლების სიმბოლო იყო ხის ხმლის — რუბისის მიღება. მაგრამ ყველა გლადიატორი როდი სარგებლობდა მინიჭებული თავისუფლებით. ერთ-ერთი რომაელი ისტორიკოსის ნაშრომში ნაამბობია ვინმე სირიელი ფლამეს შესახებ, რომელმაც ოთხჯერ მიიღო ხის ხმალი, მაგრამ მაინც არენას უბრუნდებოდა, სადაც ბოლოს ჰპოვა კიდეც აღსასრული თავის ოცდამეთვრამეტე შერკინებაში.

მაგრამ ეს ზღვარი როდი იყო. ცნობილი არიან გლადიატორები, რომლებსაც ჩატარებული ჰქონდათ 60-დან 120-მდე შერკინება. ასეთი ხანმოთეული გლადიატორები ცოლ-შვილით დაყურსვასაც ასწრებდნენ, მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ: რუდიარები (გათავისუფლებული გლადიატორები) ბერბიჭობას ამჯობინებდნენ: კარგი საკვები სპეციალური დიეტის მიხედვით, სამედიცინო მომსახურება, იმპერიის გამორჩეული ლამაზმანები... მათ დამატებითი შემოსავალიც ჰქონდათ: მსურველებს ფარიკაობის გაკვეთილებს აძლევდნენ.

რესპუბლიკური რომის უკანასკნელ პერიოდში ხშირად ხდებოდა სისხლიანი გარჩევები გლადიატორთა რაზმების მონაწილეობით, რომლებსაც პოლიტიკურ მოძრაობათა ლიდერები ქირაობდნენ. გლადიატორები ერთგვარ „საძმოებად“ იქცნენ იმდროინდელი „ნათლიების“ ხელში გაერთიანებული. მზად იყვნენ ბრძანებისამებრ ყელი გამოეჭრათ ნებისმიერისთვის.

გლადიატორები მონაწილეობდნენ კეისრის წინააღმდეგ შეთქმულებაშიც. საერთოდ კი რომის იმპერატორები უარს არ ამბობენ გლადიატორთა გამოყენებაზე საკუთარი მიზნებისთვის, მაგალითად კალიგულამ ისინი თავის მცველთა რიგებში შეიყვანა, ნერონსაც ჰყავდა გლადიატორი მცველები.




კადრი ფილმიდან „გლადიატორი“

იშვიათად, მაგრამ გლადიატორებს რომის არმიის რეზერვადაც იყენებდნენ (გლადიატორები რომის არმიაში პირველად ძვ.წ.აღ. 43 წ. გამოჩნდნენ).

ნერონის სიკვდილის შემდეგ ამტყდარ სამოქალაქო ომში იმპერატორის ტახტისთვის მებრძოლმა ოტონმა თავისი დროშის ქვეშ 2 ათასამდე გლადიატორი შემოიკრიბა. ისინი მისი არმიის ერთ მერვედს შეადგენდნენ.

იმპერატორმა მარკუს ავრელიუსმა დუნაიზე ბარბაროსებთან ბრძოლისას თავისი შეთხელებული ჯარი გლადიატორთაგან შემდგარი სპეციალური ქვედანაყოფით შეავსო.

ცალკე თემაა გლადიატორთა მონაწილეობა ლეგენდარული სპარტაკის აჯანყებაში. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ გლადიატორები იმ სახალხო ომში მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ.

ასეთია სიმართლე განსაკუთრებული პროფესიის ადამიანების — გლადიატორთა შესახებ.

**მოამზადა**
**სანდრო ალექსიძემ**

---

**საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფონდის თანამშრომლის ქეთევან ხუციშვილის და ქალბატონი**

**თინათინ ხუციშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

**საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საავტომობილო ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი, არაჩვეულებრივი პიროვნება და მოქალაქე**

**გურამ ხახალეიშვილი**

**აღსანიშნავია, რომ ბატონ გურამს უდიდესი და გამორჩეული წვლილი აქვს შეტანილი დარგის განვითარებისა და საქართველოს აღმშენებლობის საქმეში. ჩვენ დიდ თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.**

---

## ნურიგელის ტბაში თევზაობა დროებით აიკრძალა

ნურიგელის ტბაში ციანობაქტერიის დონე გაიზარდა. აღნიშნულის შესახებ საზოგადოება უკვე ინფორმირებულია. განცხადება ამის შესახებ დღეს, 6 მაისის პარკში ა(ა)იპ ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ალექსანდრე თევზაძემ გააკეთა. უკვე გაფრთხილებულია მეთევზეებიც, რომლებიც თევზს ნურიგელის ტბაში იჭერენ. ინტოქსიკაციის შემთხვევაში, ტბაში დაჭერილი თევზის მიღება ჯანმრთელობისთვის საშიში იქნება.

ტბიდან აღებული მასალა გამოსაკვლევად უკვე გადაგზავნილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში. კვლევის შედეგები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

## თბილისის სატრანსპორტო კომპანია უანგარო დონორის აქციაში ჩაერთო

14 ივნისს, სისხლის დონორის მსოფლიო დღეს თბილისის სატრანსპორტო კომპანია უანგარო დონორის აქციაში ჩაერთო. თანამშრომლები სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურმა მიიღო. წელს სისხლის დონორის მსოფლიო დღის დევიზია „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი.“ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლები აცნობიერებენ თავიანთ სოციალურ პასუხისმგებლობას.

---

## ყალბისმქმნელი დააკავეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე მოქალაქე ზაზა პატარაია დააკავა.**

ბრალდებულმა განახორციელა უსაქონლო ოპერაცია, რა დროსაც, შპს „მედვოუ-ჯორჯია“-ს სახელით გამოწერილ სასაქონლო ზედნადებში ყალბად ჩაწერა 300. 000 ლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურის გაყიდვის ფაქტი.

საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების სანაცვლოდ, ზაზა პატარაიამ მოითხოვა სასაქონლო ზედნადებში აღრიცხული საქონლის ღირებულების 40 %-ის, 120 000 ლარის გადახდა, საიდანაც წინასწარ, ავანსის სახით, მოთხოვნილი თანხის ნაწილი აიღო.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 4 წლამდე ვადით.

## სოფი ლორენი საქართველოშია

**გუშინ თბილისში იტალიელი კინოვარსკვლავი სოფი ლორენი ჩამოვიდა.** მსახიობი თბილისს საოპერო მომღერალ ნინო სურგულაძის მოწვევით ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, სოფი ლორენი საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდება, ხოლო 15 ივნისს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში საპატიო სტუმრის რანგში მსოფლიო პრემიერას დაესწრება, რომელიც ნინო სურგულაძის ფონდის „ნატვრის ხის“ ორგანიზებით გაიმართება და საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.



სპექტაკლს „სიყვარულისთვის“ სოფი ლორენის ვაჟი კარლო პონტი უდირიჟორებს. ღონისძიებიდან შემოსული თანხა ბავშვების სიცოცხლის გადარჩენას მოხმარდება.

**საპრემიერო დღეები 15, 17 და 19 ივნისს არის ჩანიშნული. სპექტაკლი 21 საათზე დაიწყება.**

## ერთიანი ეროვნული გამოცდები 1 ივლისიდან დაიწყება

როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილ ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგშია აღნიშნული, პირველი გამოცდა 1-2 ივლისს, ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდება, რის შემდეგაც აბიტურიენტებს ზოგად უნარებში მოუწევთ გამოცდის ჩაბარება.

გამოცდები 22 ივლისს, ფიზიკის გამოცდით დასრულდება.

მიმდინარე წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაცია 41 500-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა.



რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

## ოჰ, ეს თვალ-წამწამნი!..



**ბევრი ჩვენგანი, ალბათ, არც დაფიქრებულა იმაზე, თუ რატომაა, რომ თავზე თმა გამუდმებით გვეზრდება, წამწამები კი თითქმის სულ ერთ ზომაზეა.**

არადა, თურმე, ეს ასე არ ყოფილა — წამწამებიც ისევე იზრდება და ცვივა, როგორც თმა თავზე, მათ ადგილზე კი ახლები ამოდის. ღერი გარკვეულ სიგრძემდე იზრდება, მერე კი ცვივა — განა ერთხელ მაინც არ განგიცდიათ თვალში ბეწვის ჩავარდნის შეგრძნება? სარკეში რომ ჩავიხედავთ, გვეჩვენება, თითქოს ყველა წამწამი ერთი სიგრძისაა, მაგრამ ეს ასე არ არის.

წამწამები 2-3 რიგად იზრდება. თვალის ზედა ქუთუთოზე 150-დან 200-მდე ღერია, ქვედაზე — 50-დან 150-მდე. ზედების სიგრძე 10 მილიმეტრია, ქვედებისა — დაახლოებით 7 მილიმეტრი. თითოეულის სიცოცხლის ციკლი საშუალოდ 3 თვეა. წამწამი მაშინ ცვივა, როცა ახლის ბოლქვი მომწიფდება. წამწამები გამუდმებით იზრდება, ოღონდ ასაკთან ერთად მეჩხერდება, სუსტდება და ღიავდება.

წამწამების დანიშნულება, რომლებიც ადამიანის გარდა სხვა ძუძუმწოვრებსაც აქვთ, თვალების მტვრისგან, ქვიშისა და ქინქლისგან დაცვაა.

## მუსიკოსთა „გასაჭირი“

**ფრჩხილები ყველას გვეზრდება, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაზე სწრაფად მათი მოჭრა მუსიკოსებსა და მბეჭდავ-მემანქანეებს უწევთ.**



თურმე, ამ პროფესიის ადამიანთა მოღვაწეობა ყველაზე მეტად... მასაჟს ესადაგება, რომელიც ნივთიერებათა ცვლასა და ფრჩხილების ზრდას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ფრჩხილების ზრდაზე ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონალური პროცესები — ყმაწვილური ასაკი, ფეხმძიმობა, კლიმაქსი — აჩქარებს.

## ხელის მსუბუქი მოძრაობა და...

**ხელოვნურ თმად შენიღბული გადამცემი შექმნეს რიო-დე-ჟანეიროს პაპის კათოლიკური უნივერსიტეტის მეცნიერებმა.**

მინიატიურული მოწყობილობა „ჰეარუეი“ თმის კულულთან ერთად თავზე მაგრდება, ხელის შეხებაზე რეაგირებს და თმების ოდენობისა და ჩადებული პროგრამისდა მიხედვით სხვადასხვა სიგნალს გზავნის, რომლის მეშვეობით შესაძლებელია



ტელევიზორისა და ნებისმიერ სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჩართვა, სმარტფონის დანართების მართვა-შეტყობინებების გაგზავნა, საუბრების ჩაწერა, ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის გადაცემა და სელფის გადაღებაც კი.

„ჰეარუეის“ გამოყენების ერთ-ერთი დანიშნულებაა ასევე ექსტრემალურ ვითარებაში დახმარების შესახებ მოთხოვნის გაგზავნა. თმის შესწორების სავსებით ბუნებრივი მოძრაობა თავდასმხმელში ეჭვს არ გამოიწვევს, მსხვერპლს კი ამ დროს პოლიციის გამოძახება შეუძლია.

ხელსაწყოს შემქმნელები ასეთივე მოწყობილობის შემუშავებას წვერისთვისაც გეგმავენ.

## ნუ მოითმენთ ტკივილს!



**ყველა ადამიანს ტკივილის ატანის ინდივიდუალური მიჯნა გააჩნია.**

**ეს, უწინარესად, თავად ორგანიზმის ტკივილსაწინააღმდეგო ჰორმონების — ენდორფინებისა და ენკეფალინების — გამომუშავების დონეზეა დამოკიდებული, რომლებიც, ტკივილის რეცეპტორების ზემოქმედების შედეგად თავის ტვინის გარკვეულ უბნებში წარმოიქმნება. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ტკივილსაწინააალმდეგო სისტემა აქვს, რომელიც, სხვათა შორის, შესაძლოა, გარკვეული დროის განმავლობაში შესუსტდეს.**

თუკი ადამიანი ტკივილს 3-6 კვირის მანძილზე განიცდის, მაშინ ტკივილსაწინააღმდეგო ადაპტაცია ირღვევა. ამას კი შემდგომ ქრონიკული ტკივილის ხშირი თანმდევი დეპრესია მოსდევს, თანდათანობით ადამიანი მხოლოდ ტკივილის შეგრძნებაზე იწყებს ფიქრს, ბევრი რამის მიმართ ინტერესს კარგავს, რითაც ხშირად პროფესიული საქმიანობა, ოჯახი ახლობლები ზარალდებიან. თუკი კაცმა ამ „დერეფანში“ შეაბიჯა, იქიდან მისი გამოყვანა საკმაოდ რთული საქმეა. ამიტომ უმჯობესია, რომ თავი ამ ზომამდე არ მივიყვანოთ და ტკივილგამაყუჩებელთა მიღება დროულად დავიწყოთ, ცხადია, მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ.

## გახდი რა, მამიკო!

**ჰოლანდიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დნკ-მოლეკულების ზედაპირზე საგანგებო ნიშნები მომავალი მამის... წონის შესახებ ინფორმაციას შეიცავენ და მას ბავშვს გადასცემენ, რამაც მომავალში, შესაძლოა, მის წონაზე ზეგავლენა იქონიოს.**

ამის საფუძველზე მკვლევარები აცხადებენ, რომ თუკი ბავშვის ჩასახვამდე მსუქანი მამაკაცი წონის დაკლებას შეძლებს, მაშინ მის შვილს ჭარბი წონის აკრეფის ალბათობა შეუმცირდება.



კვლევის ფარგლებში მეცნიერებმა შვედეთის ერთ-ერთი სოფლის მოსახლეთა დნკ შეისწავლეს, რომლებმაც წარსულში შიმშილობა გადაიტანა. აღმოჩნდა, რომ მრავალი მცხოვრების გენომში შემონახულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მათი ბებიები და ბაბუები უწინ შიმშილობდნენ. ინფორმაცია ამის შესახებ დნკ-ს ძაფების „შემფუთავ“ მასალაზე აღმოაჩინეს. 10 მსუქანი და ცალკე გამხდარი მოხალისე მამაკაცის სპერმის შედარებისას მათში დნკ-ს განსაკუთრებული ნიშნები ნახეს, რის შემდეგ ტანსრულებს გახდომა შესთავაზეს. გახდომის შემდეგ მათი სპერმის ანალიზმა აჩვენა, რომ შეიცვალა დნკ-ს ნიშნულებიც. ამის შემდეგ მკვლევარებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ მოცემული ნიშნები მამაკაცის მიმდინარე წონას აღნიშნავენ, რომლებიც შვილებს გადაეცემათ.

## ცინცხალი ანეკდოტები

**— ჩემმა ვაჟმა მთლად „გარეკა“! რა ვქნა, არ ვიცი, ვეძებ მისთვის რაიმე ელიტურ ფსიქიატრიულ დაწესებულებას, — ეუბნება ერთი მაღალჩინოსანი მეორეს.**

**— რა არის აქ საძებარ-საფიქრალი? — პარლამენტზე უკეთეს ადგილს სად ნახავ. ჩემი დებილი რახანია იქაა.**

* * *

**— რა ღირს თქვენს არხზე მორბენალი სტრიქონით განცხადების გამოქვეყნება?**

**— ათასიდან ხუთი ათასამდე.**

**— რატომ არის ამხელა სხვაობა ფასებს შორის?**

**— ხუთიათასიანის წაკითხვას მაყურებელი მოასწრებს.**

* * *

**— მერწმუნეთ, უსიამოვნებები ოდესმე მთავრდება.**

**— თქვენ ოპტიმისტი ბრძანებულხართ.**

**— არა, სასაფლაოს დარაჯი ვარ.**

* * *

**კომუნიზმია...**

**ბაბუა და შვილიშვილი უდაბნოში მიდიან. უცებ შვილიშვილი რკინის რუბლს იპოვის.**

**— ბაბუ, ეს რა არის?**

**— ეს ფულია, შვილო.**



**— რა არის ფული, ბაბუ?**

**— როგორ გითხრა, ადრე ფულით შეიძლებოდა შაქრის, კარაქის, პურის ყიდვა.**

**— ბაბუ, რა არის შაქარი, კარაქი, პური?**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.129; ევრო - 2.399;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.017;
100 რუბლი - 3.238; თურქული ლირა - 0.727;
აზერბაიჯანული მანათი - 1.408;
1000 სომხური დრამი - 5.438

ამინდი 15 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +32
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +38
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +35
თბილისი: ღამე +17, დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE